პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 139 (19880) ოთხშაბათი, 17 ივნისი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია 1987 წლის 18 ივლისს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 16 ივნისი.

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია განიხილავს საკითხს პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მითითებათა შესაბამისად საბინაო მშენებლობის განვითარებისათვის, ბინების განაწილებაში საჯაროობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვისათვის საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

სესიის დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანა განპირობებულია რესპუბლიკაში სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების, განსაკუთრებით საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საქმეში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობით; დაბალია მათი მშენებლობის ტემპის, ხარისხისა და კეთილმოწყობის დონე. ბინების განაწილებისას ზოგჯერ უხეშად ირღვევა საჯაროობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპები.

ასეთი ნაკლოვანებები იმის შედეგიც არის, რომ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანოები არსებული მდგომარეობის მიმართ იჩენენ მიმტევებლობას, კონტროლს არ უწევენ მშენებლობის დარგს. ჯეროვნად არ იბრძვიან წამატებებისა და თვალისახვევის, იერიშობანას აღმოფხვრისათვის, სრულად არ იყენებენ კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას ამ დარღვევათა აღსაკვეთად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რომელიც სესიაზე წარსდგება მოხსენებით, განზრახული აქვს წინასწარ გამოაქვეყნოს სათანადო მასალები რესპუბლიკაში საბინაო მშენებლობის შემდგომი განვითარების გეგმებისა და მათი განხორციელების ვადების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიაჩნია, რომ სესიაზე ამ მწვავე სოციალური პრობლემის განხილვა გამოიწვევს მშრომელთა ფართო მასების დიდ დაინტერესებას, და გამოთქვამს იმედს, რომ ისინი ამ საკითხზე მოგვაწვდიან თავიანთ მოსაზრებებს, წინადადებებსა და სურვილებს. რაც დაგვეხმარება სწორი და ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავებისა და სოციალური სფეროს განვითარების დაჩქარების საქმეში.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა შეზღუდული არ იქნება, მსურველებს შეუძლიათ ამის შესახებ წინასწარაც მიმართონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს (ტელეფონი: 99-92-79, 93-13-06, 99-06-94).

იმის გამო, რომ განსახილველი საკითხი მოქალაქეთა ფართო ინტერესს იწვევს, სესიის მსვლელობა ტრანსლირებული იქნება აგრეთვე საქართველოს ტელევიზიით.

სავარაუდოა, რომ სესიის ამგვარად ჩატარება გარკვეულ გამოძახილს პოვებს მოსახლეობაში. ვიმედოვნებთ, რომ მშრომელები ამ სიახლესთან დაკავშირებით თავიანთ მოსაზრებებს აცნობებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

იჯარა ეკონომიკის მძლავრი სტიმულია

ბ ოლო ორ წელიწადში: სამეურნეო ანგარიშზე, თითოეული მუშაკის შრომითი წვლილის გათვალისწინებით, საბოლოო შედეგების მიხედვით მუშაობის შეფასებაზე გადასვლა მასების შემოქმედებით მიგნებული პირადად მშრომელის, კოლექტივისა და საზოგადოების ინტერესების შესაბამის სწორი გზაა. საწარმოთა ახალი ეკონომიკური მექანიზმის შექმნის მთავარი ამოცანა, აღინიშნა ამ დღეებში სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე, — ეს არის დამოუკიდებლობის ამაღლება, სამეურნეო ანგარიშისა და ფართო თვითშმართველობის საფუძველზე მეურნეობრიობის საბოლოო შედეგებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერება.

მხოლოდ ამ ამოცანის გადაწყვეტის მეოხებით შეუძლიათ აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკებს მიაღწიონ წარმოების ეფექტიანობის მკვეთრ აღმავლობას, სოფლად საქმის ვითარების არსებითს გაუმჯობესებას.

შეიძლება დავასახელოთ ქობულეთის, წალენჯიხის, ცხაკაიას, დმანისის, ლანჩხუთის, ჩხოროწყუს და სხვა რაიონების მრავალი საზოგადოებრივი მეურნეობა, სადაც სამეურნეო ანგარიში და იჯარა მეურნეობრიობის ქმედითი ფორმა გახდა და შესამჩნევ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდაზე. წალენჯიხის ნაკიფოს კოლმეურნეობის მერძევეობის იჯარულმა ბრიგადამ შარშან წინა წელთან შედარებით თითოეულ ძროხაზე 196 კილოგრამით მეტი რძე მიიღო, შესაბამისად 27,9 პროცენტით გაიზარდა მეცხოველეთა ამ კოლექტივის შრომის ნაყოფიერება, ანაზღაურება კი 7,1 პროცენტით.

ამ წარმატებას საფუძვლად უდევს ადამიანისათვის ზრუნვა, ეფექტიანი შრომის საჭირო პირობის შექმნა, ის, რომ ბრიგადას პროდუქციის წარმოების დაკალება დაწესებული აქვს პირდაპირ დანახარჯების საფუძველზე და კონტროლი ეწევა მის შესრულებას; საბოლოო შედეგების შეჯამებისას კი ამ იჯარული კოლექტივის ყოველი წევრი ანაზღაურებას იღებს პროდუქციის მიხედვით.

მეურნეობრიობის სოციალური რეზერვების, სამეურნეო ანგარიშის უნარიანი გამოყენების წყალობით ქობულეთის რაიონის ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის № 6 ბრიგადამ იმავე პლანტაციიდან, რომელიც მას შუამთის იჯარულ მეთოდზე გადასვლამდე ჰქონდა მიჩენილი, 333 ცენტნერით მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფა; პროდუქციის მატებამ ფულადი გამოხატულებით 24.900 მანეთი შეადგინა.

ამგვარი კოლექტივები ძლიერი არიან ურთიერთპასუხისმგებლობით, დისციპლინითა და ინიციატივით. ისინი ჩვეულებრივ მინიმალური დანახარჯებით მეტ დოვლათს ქმნიან.

კოლექტიური იჯარა და დანახარჯების კონტროლის საქვითრო ფორმა ეკონომიკის მთავარი სტიმულია. იჯარულ ბრიგადებსა და რგოლებს ხელს არ აძლევს უყაირათოდ ხარჯონ რესურსები, საწყობიდან გამოიტანონ ზედმეტი სათადარიგო ნაწილი ან მნერალური სასუქი, ამისათვის დარიცხული ფული კოლექტივისათვის გამოყოფილი სახსრების ლიმიტს დააკლდება. საერთო ქონებისადმი ამგვარი მიდგომა ადამიანთა ურთიერთობაში კოლექტივიზმს და შრომის ანაზღაურებაში სამართლიანობას ამკვიდრებს.

ამდენად, სასურსათო პროგრამის შესრულების მოახლოება, მეთორმეტე ხუთწლედში მოსახლეობისათვის საჭირო ხანოვანი ბაზრის უხვად მომარაგება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ წარიმართება აგროსამრეწველო კომპლექსში შუამთა სამეურნეო მექანიზმის შემდგომი დახვეწისათვის, როგორ მტკიცედ მოიკიდებს ფეხს სამეურნეო ანგარიში, მოიცავს იგი თითოეულ მხვნელ-მთესველს, მუშას, სპეციალისტსა და ხელმძღვანელს.

დროის ამ მოთხოვნის შესაბამისად, საბოლოო შედეგებით მატერიალური დაინტერესების და პასუხისმგებლობის გაძლიერებისათვის, იმისათვის, რომ ფართოდ გავრცელდეს იჯარა და ანაზღაურების აკორდული სისტემა ბრიგადის, რგოლის, ოჯახის დონეზე, ბოლო ხანებში გააქტიურდა შუამთა აგროსამრეწველო კომპლექსში. აქ წარმოებას მოწყვეტით ზონალური სწავლება მოეწყო შიდასამეურნეო ანგარიშის, კოლექტიური იჯარის, დანახარჯების კონტროლის საქვითრო სისტემის და მთლიანი შემოსავლიდან შუამავების შრომის ანაზღაურების ფორმების და ინტენსიური ტექნოლოგიების ათვისების საკითხებზე. მეურნეობებსა და საწარმოებს ადგილებზე პრაქტიკულ დახმარებას უწევენ სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმების შემუშავებისა და დანერგვის საპროექტო-ტექნოლოგიური ცენტრის, საკახეთგრომრეწვის ანარატის მუშაკები.

ამ საერთო ძალისხმევამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ ამჟამად რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსში იჯარის მეთოდით მუშაობს ბრიგადების 70 პროცენტზე მეტი, რაც მაშინდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 30 პროცენტით მეტია. ამასთან ადმინისტრაციასთან იჯარის პრინციპით ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 40 ათასზე მეტ ოჯახს.

ეს იმას მოწმობს, რომ სამეურნეო ანგარიში, შრომის ორგანიზაციის და ანაზღაურების ბრიგადული ფორმა უკვე მასობრივად დამკვიდრდა აგროსამრეწველო კომპლექსში და ეს პროცესი გრძელდება. მაგრამ ამ პროგრესული მეთოდების შემოღების საჭიროების გაგებით ჯერ კიდევ ყველგან ღრმად არ არიან გამსჭვალული სპეციალისტები და ხელმძღვანელები. მათ აფიქრებთ იმის სირთულე, რომ კოლექტივებთან ხელშეკრულების დადების შემდეგ მოვალენი არიან მათ წარმატებული მუშაობის ყველა პირობა შეუქმნან. ამ მხრივ მეტი მუშაობა მართებთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ორჯონიკიძის, ახალქალაქის და სხვა რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებებს, სადაც ნელი ტემპით ხორციელდება სამეურნეო ანგარიშსა და კოლექტიურ იჯარაზე ყველა ძირითადი საწარმოო ქვეგანაყოფის გადასვლის კონკრეტული ღონისძიებანი, ყოვნდება საამისოდ საჭირო ობიექტური ნანამძღვრების შექმნა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი კი პარტიულ ორგანიზაციებს, აგროსამრეწველო გაერთიანებებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს ავალებს ძირეულად გაუმჯობესონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა ყველა რგოლში სამეურნეო ანგარიშისა და კოლექტიური იჯარის ფართოდ დანერგვისათვის. იქ, სადაც ამ მოთხოვნის რეალიზაციას ადგილობრივი ხელმძღვანელობა მთელი გულისყურით ეკიდება, კოლექტიური იჯარის პირობებში სამეურნეო ანგარიშებრივი ურთიერთობის სრული ათვისებისათვის გაწეულმა მუშაობამ მეტი საგნობრიობა შეიძინა.

შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმების საფუძველზე სამეურნეო ანგარიშით მუშაობას მეტი გასაქანი აქვს იმ კოლექტივებში, სადაც ზრუნავენ მუშახელის დამკვიდრებისათვის, სახელმეკურნეებო დაკალებათა რესურსებით უზრუნველყოფისათვის, სადაც ნორმატივები ისეა შედგენილი, რომ ისინი საბოლოო შედეგებით აინტერესებენ პროდუქციის შექმნაში მონაწილე ყველა კატეგორიის მუშაკს; იჯარის დანერგვის ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული აგრეთვე სწორ დაგეგმვაზე. ზოგან აგროსამრეწველო გაერთიანებები მეურნეობებს უწესებენ არარეალურ გეგმებს, რის გამოც შეუძლებელია ქვეგანაყოფებს მიეცეთ დაკალებები უკანასკნელი 3-5 წლის განმავლობაში ფაქტობრივად მიღებული პროდუქციის საშუალო დონის მიხედვით.

დასაგმობია ისეთი პრაქტიკა, როცა ბრიგადაში იჯარის ობიექტი ხდება მხოლოდ ერთი კულტურა და დანარჩენ კულტურებს ეს მეთოდი არ მოიცავს. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში საერთო ეკონომიკური ეფექტი გამორიცხულია და საქმე გვაქვს ფორმალიზმთან. რეფაქტიანი შემოსული წვრილების ავტორები სამართლიანად აყენებენ საკითხს, რომ ადმინისტრაცია იჯარული კოლექტივის წევრებს არ უნდა აცდენდეს იმ სამუშაოებზე, რომლებიც ხელშეკრულების ფარგლებს სცილდება. ეს, რა თქმა უნდა, არ მოხდება იქ, სადაც შრომა სწორად არის ორგანიზებული და ყველა სამუშაო წინასწარ არის გათვალისწინებული და დაგეგმილი.

ახლა, ბუნების ჭირვეულობის პირობებში, ბაღ-ვენახებში, მინდვრებსა და ფერმებში გახურებული მუშაობაა. იჯარული კოლექტივები ცდილობენ მთელი გულისყურით მიხედონ ნათესებს, საკვების მომზარაგებს, მოხალელის აღებას. მიაღწიონ პირუტყვის პროდუქტიულობის მატებას. ამ შეცადინეობაში მათ მეურნეობათა ეკონომიკური სამსახურების, ყველა იმის დახმარება სჭირდებათ, ვინც თითოეულ ჰექტარზე მეტი უკუგების მიღებისათვის პასუხს აგებს.

საქმეზე გამოაჩინა



თბილისის „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების სახეხი ჩარხების ქარხანა უშვებს რიცხობრივი პროგრამული მართვის სახარატო ჩარხებს. 15 ჩარხის ნაცვლად, რომლებიც საამქროს გეგმის თანახმად ამ წლის დამდეგიდან უნდა ჩაებარებინა, მაისის მიწურულისთვის 29 ჩარხი ჩაბარა.

სურათზე: საამწყობო საამქროს ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადირი, ქარხნის ვეტერანი ვალენტინ კოროტკინი და საამწყობო საამქროს უფროსი ავთანდილ გელაშვილი.

ფ. კრიმსკის ფოტო.

ზრომითი ქრონიკა

ბრინჯაოს მედალი—ახალ პროდუქციას

ბაგრის ხორცკომბინატს, რესპუბლიკის ამ მოწინავე საწარმოს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ხორცისა და რძის მრეწველობის პავილიონში დათვალიერება-კონკურსის ჟიურიმ კომბინატელთა მიერ შემუშავებული მაღალხარისხოვანი ძეხვეულის ორიგინალურ ტექნოლოგიას ბრინჯაოს მედალი მიანიჭა.

— ჩვენ მიერ წინასწარ შემუშავებულ გეგმაში განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებას, — თქვა კომბინატის დირექტორმა ა. მახარაძემ, — ამჟამად საწარმოს საამქროებში 30 დასახელების პროდუქციას ვუშვებთ. მოხარშული ძეხვი „სტეპნაია“, რომელიც მომხმარებლის მაღალი შეფასება დაიმსახურა, ადგილობრივი სპეციალიტეტისა და გამოცდილი მუშების მიერ შექმნილი ტექნოლოგიით მზადდება.

ხორცკომბინატში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის შესახვედრად. კომბინატმა სასაკონლო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის ხუთი თვის დავალებები პირნათლად შეასრულა. ალმავალი შრომითი რიტმი წარმატებით გრძელდება.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ირიჟრაჟებს თუ არა...

ვარდაგავილობაა ალაზნის ველზე. გაფურჩქნილა ცნობილი კაზანლიკური ვარდი, რომლის პლანტაციებსაც აქ ხუთას ჰექტარზე მეტი უკავია. ამ დღეებში ირიჟრაჟებს თუ არა ვარდის ბუჩქებს დასტრიალებენ თელავისა და ლაგოდეხის რაიონების სპეციალიზებულ მეურნეობათა მშრომელები: სურნელოვანი მოსავლის ალოობა დაიწყო. იგი მაშინვე მიაქვთ გადასამუშავებლად.

— მიმდინარე წელს მოსავლის აღება გვიან დაიწყო. ძნელმა გაზაფხულმა, ავდარმა ბუჩქების ვეგეტაცია შეაჩერა. მიუხედავად ამისა, მოსავალი მაინც უხვი მოვიდა: მოწინავე მკრეფავები ყოველდღიურად მიმღები პუნქტებს 60-70 კილოგრამ ფოთოლს აბარებენ — ნორმაზე მეტს.

მსოფლიოში ათასზე მეტი სახეობისა და 700-მდე სახესხვაობის ვარდია ცნობილი. მხოლოდ სამი მთავარია ზეთოვანი. გასული საუკუნის ბოლოს ერთი მათგანი საქართველოში შემოიტანა ბულგარელმა მეცნიერმა კონსტანტინ კულევემ. სოფელ ნაფარეულში მან შექმნა სამრეწველო პლანტაცია. ფურცლისაგან გამომუშავებული ვარდის ზეთმა ერთი წლის შემდეგ პარაზში მსოფლიო გამოფენაზე უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა.

ვარდი შრომატევადი კულტურაა. ერთი გრამი ვარდის ზეთი რომ მივიღოთ, 2 ათასი ყვავილია საჭირო. საბჭოთა მეცნიერებმა შეიმუშავეს ზეთის გადამუშავების პროგრესული ტექნოლოგია — გამოხდისა და ექსტრაქციის მეთოდი. ვარდის ზეთზე მოთხოვნას ქვეყნის ბევრი საპარფიუმერიო-კოსმეტიკური ფაბრიკა აცხადებს. (საქინფორმი).

მეცნიერები—წარმოებას

გაცვეთილი ავტოსაბურავების გამოყენება შეიძლება ჰიდროტექნიკაში. იგი წყალდიდობისაგან მდინარეებისა და წყალსაცავების ნაპირების დასაცავად ჩინებული მასალა აღმოჩნდა. მათ საფუძველზე საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ შექმნილი კონსტრუქციებით უკვე გამაგრებულია მდინარეებისა და წყალსაცავების 60 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი ნაპირი, მათ შორის ვოლგაზე, რიონზე, ენგურზე...

— „კალაპოტის მარეგულირებელ და ნაპირსაცავ ნაგებობათა მშენებლობისათვის ყველაზე ხშირად იყენებენ ბეტონს, ასფალტბეტონს, ქვას, — თქვა ინსტიტუტის დირექტორმა, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ციტნე მირცხულავამ. — ამ მასალებისაგან დამზადებული კონსტრუქციები, ჩვეულებრივ, გამოდის მასიური და ცუდად ეგუება გარემოს. ისინი, ამასთან შრომატევადი და მასალატევადია, შესაბამისად ძვირიცაა. მაგალითად, ასეთი გამაგრების კვადრატული მეტრი, თუ მასალა იქვე არის, სულ ცოტა 14-25 მანეთი ჯდება.

რესპუბლიკისა და ქვეყნის პირობებში ფართოდ გამოიყენება ქვაყრილი. იგი ხანგამძლეობით რამდენადმე ჩამოუვარდება რკინაბეტონის ნაგებობებს, მაგრამ უფრო იაფი ჯდება, თუ ადგილზე არის ნედლეული, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა კარიერები მდებარეობს 70 კილომეტრის რადიუსში ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების ადგილიდან. რუსეთის პირობებში, კი, სადაც ხშირად უხდებათ მრავალი ასეული კილომეტრიდან მოიტანონ ქვა მშენებლობაზე, დამცავი საფარის კვადრატული მეტრის ღირებულება ერთიორად, ერთისამად და უფრო მეტად იზრდება.

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ო. სიჭინავასა და მისი კოლეგების ჯგუფის მიერ შემუშავებული მეორეული ნედლეულისაგან დამზადებული დამცავი კონსტრუქციები საშუალებას გვაძლევს რადიკალურად გადავჭრათ რთული პრობლემა, და მასთან ერთად მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაც — საიმედოდ დაეცვათ გარემო გაუუქაჟიანებისაგან.

საგზურაკეზი ბეტონის ნაცვლად

ავტომობილების, თვით მოტოროლერებისა და მოტოციკლეტების საბურავებიც კი.

საცდელ-ექსპერიმენტული წესით საბურავებისაგან ნაპირსაცავი კონსტრუქციები რესპუბლიკაში აააგს სკკპ მდინარეებზე ჯუმბერ, ხობისწყალზე, ჭანისწყალზე, ტეხურასა და ალაზანზე. ეს კონსტრუქციები წარმოადგენს ჭადრაკული ან ქვადრატული წესით დალაგებული გაცვეთილი საბურავებით მდინარის ფერდობის მოჭნილი საფარს. ისინი ერთმანეთზე მაგრდება გვარლით, სადენით ან ბაგირით, ნებისმიერი სხვა მასალით. უფრო მეტი ეკონომიისათვის დიდი საბურავები დაწყობის წინ შეიძლება შეაზე გაჭრათ. ასეთი წესით მიღებულ საფარს შემდეგ აყრიან ქვიშას, კენჭებს ან წიდას, ნებისმიერ სხვა ამგვარ მასალას. დადგენილია, რომ ასეთი დარეზინებული და ლითონით დარმატურებული კონსტრუქცია ძალზე მტკიცე და ელასტიკურია. იგი პრაქტიკულად არ ცვლება, და მით უმეტეს არ ლპება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ გაცვეთილი საბურავებისაგან შექმნილი კონსტრუქცია არ არღვევს ეკოლოგიურ ჰარმონიას წყალსატევებში. ასეთი კონსტრუქციების მახლობლად შექმნილი ყურეები საქვირითეებიც კი ხდება. ეს გვაცნობეს ეოლგოგრადისა და კოსტრომის ოლქების სპეციალისტებმა, სადაც დაიწყო საქართველოში შემუშავებული სიახლის გამოყენება. ამ სიახლით დაინტერესდნენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და სახმომარაგება, ქვეყნის თავზეს მეურნეობის სამინისტრო, „საკმთავარმეორეულირესურსები“, საქართველოს სსრ აგრომრეწვი.

საქართველოს წყალთა მეურნეობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტში უკვე შედგენილია რიონის, კოლხეთის დაბლობის სხვა მდინარეების ნაპირების გაცვეთილი ავტოსაბურავებით დაცვის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება. ქვეყნის სხვადასხვა კუთხის საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელებისაგან ინსტიტუტი იღებს წერილებს, რომლებშიც სთხოვენ დაეხმაროს, გაუგზავნოს მათ სიახლისათვის საჭირო ტექნიკური დოკუმენტაცია. მაგალითად, ამორტიზებული რეზინის კონსტრუქციებით ნავარაუდევია მდინარეების დუნაის, ირტიშის, ობის, ანგარის წყალსაცავის ნაპირების დაცვა. ჩვენი ქვეყნის სპეციალისტებმა დიდი შეფასება მისცეს ქართველი მეცნიერების გამოგონებას. ხრეშწყარილი საბურავები კი არ ამახინჯებს ნაპირს, არამედ ინარჩუნებს მდინარეთა კალაპოტების გასწვრივ შექმნილ ბუნებრივ ლანდშაფტს. მკვეთრად მცირდება მშენებლობის ვადები და ღირებულება, იზრდება დამცავ ნაგებობათა საიმედოობა და ხანგამძლეობა.

ცნობა: „საკმთავარმეორეულირესურსების“ ოფიციალური მონაცემებით, ქვეყანაში ყოველწლიურად გროვდება დაახლოებით 520 ათასი ტონა ამორტიზებული საბურავები, რომლებიც არაფერში არ გამოიყენება. მათი გამოყენება ჰიდროტექნიკაში საშუალებას მოგვცემს წარეცხვისაგან დავიცვათ დაახლოებით 25 მილიონი კვადრატული მეტრი მდინარეებისა და წყალსაცავების ნაპირი, არასაწარმოო დანახარჯებისაგან გამოვათავისუფლოთ მრავალი ათასი ტონა ცემენტი, სხვა არანაკლებ დეფიციტური საშენი მასალა.

კ. ცხომელიძე.
(საქინფორმის კორ.).

სადღეისო თემაზე

ჯართის დამზადება ვაი-ვაგლახით

დიახ, დიდი გაქირვებით შესრულდა ჯართის დამზადების ხუთი თვის გეგმა. მეორეული შავი ლითონების საწარმოო გაერთიანებას რომ ერთგვარი თადარიგი არ დაეჭირა, სახელმწიფო დავალებას ჩაშლა მოელოდა. აბა, ვინ ჩაბარებდა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მაგივრად იმ 261 ტონა ლითონს, რომელიც მათ დააკლეს გეგმის რეალიზაციას? იგივე უნდა ითქვას სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქზეც, რომელმაც მომხმარებელს 90 ტონით ნაკლები ჯართი მიაწოდა. 97 ტონა ლითონი დაედო ვალად ხუთ თვეში ქ. მარნეულს, 79 — ამბროლაურის, 47 — ასპინძის, 47 — ახალქალაქის, 84 — დუშეთის, 47—თიანეთის, 66—კასპის, 58 — ლენტეხის, 211 — მარნეულის, 141 — სიღნაღის, 87 — წალენჯიხის რაიონს. ცეკავშირმა სკკუ-თარი მეურნეობიდან ვერ უზრუნველყო 225 ტონა, მოსახლეობიდან 88 ტონა საყოფაცხოვრებო და 169 ტონა ეგრეთ წოდებული უპატრონო ლითონის შეგროვება.

ასობით ტონა ჯართი დააკლეს მომხმარებლებს თბილისის „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებამ, თბილისის ელექტროშესადუღი მოწყობილობისა და ბათუმის ნავთობგადამამუშავებელმა ქარხნებმა, ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს ორგანიზაციებმა, საქგეოლოგიის სამმართველომ... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ?!

ზემოხსენებული რაიონები და სამრეწველო საწარმოები ხშირად შლიან ჯართის დამზადების გეგმებს და პასუხს კი არავინ სთხოვს. მათ კარგად იციან, რომ ჯართის დამზადების შედეგები რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს უნდა მოხსენდეს, მაგრამ ამას არ აკეთებენ.

დაძაბული მდგომარეობაა ივნისში. ამ თვეში დასამზადებელია 39.200 ტონა ჯართი, სადღეისოდ კი შეგროვებულია მხოლოდ 15 ათასი ტონა. ჩამორჩენილმა რაიონებმა და საწარმოებმა უნდა აანაზღაურონ ხუთი თვის დანაკლისი და ყველაფერი იღონონ მიმდინარე თვის დავალების შესასრულებლად. მეორეული ლითონის დამზადების ივნისისა და ექვსი თვის გეგმები უთუოდ უნდა შესრულდეს. ამ საქმეს უნდა უხელმძღვანელონ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, ჯართის შეგროვების მსვლელობას თვალყური უნდა ადევნონ სახალხო კონტროლიორებმა.

რევოლუციის გმირული მატიანე

გამოიცა პირველი წიგნი კრებულისა „ეს არის ჩვენი ბოლო და გადამწყვეტი ბრძოლა“.

გამოცემა, რომელსაც მკითხველი ეცნობა სერიაში „სკკპ ისტორია თანამედროვეთა მოგონებებით“, ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი მოიცავს რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების პერიოდს 1917 წლის მარტიდან ივლისის კრიზისამდე. წიგნში შეიდა დიდი ოქტომბრის მონაწილეებისა და თვითმხილველების მოგონებები, რომლებიც ასახავენ ბოლშევიკთა პარტიის საქმიანობას სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და განხორციელებისათვის.

მასალები მკითხველს აცნობენ პარტიული ორგანიზაციების მუშაობასა და გმირული დროის ამბებს, აღადგენენ ნათელ სახეებს იმ ადამიანებისა, ვინც დიად გარდაქმნებში მონაწილეობდა. განსაკუთრებული ადგილი უკავია მოგონებებს სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორზე ვ. ი. ლენინზე.

წიგნი გამოსცა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ.

(საკდესი).

ხუროთმოძღვართა სოციალური პასუხისმგებლობა

დიდია საბჭოთა არქიტექტორების სოციალური პასუხისმგებლობა — იღვაწონ ხალხისათვის, შექმნან ცხოვრებისა და მუშაობისათვის მოხერხებული ქალაქები და დაბები, აქტიური მონაწილეობა მიიღონ სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების რეალიზაციაში. როცა ქარხნებს, ელექტროსადგურებს, საცხოვრებელ მასივებს აპროექტებენ, ხუროთმოძღვრები მუშაობენ მომავლისთვისაც — ამ საწარმოებში, ამ სახლებში იცხოვრებენ და იშრომებენ არა მარტო ჩვენი თანამედროვენი, არამედ XXI საუკუნის ადამიანებიც. მაგრამ უკანასკნელი ათასწლეულების მანძილზე გაქრა არქიტექტორთა პირდაპირი კავშირი მათი ნამთანა, ვისთვისაც ისინი მუშაობენ, გაქრა დიალოგი საზოგადოებასთან, რომლისთვისაც ისინი იღვწიან. სწორედ ამიტომ საჭიროა მკვეთრად ავამაღლოთ არქიტექტურის თვისებრივი დონე, მისი იდეურ-მხატვრული შინაარსი, გავზარდოთ მისი როლი ადამიანის ზნეობრივ აღზრდაში.

16 ივნისს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის არქიტექტორთა VIII ყრილობამ.

ყრილობის დელეგატები ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **მ. ს. გორბაჩოვს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, ი. კ. ლიგაჩოვს, ნ. ი. რიჟკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ვ. მ. ჩებრიკოვს, ბ. ნ. ელცინს, ნ. ვ. ტალონინს, ა. ბ. ბირიუკოვს, ა. თ. დობრინინს, ვ. ვ. ნიკონოვს, გ. ა. რეზუშოვსკის, ი. ვ. კაპტონოვს.**

პრეზიდიუმში ავრეთვე იყვნენ ცნობილი არქიტექტორები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, საზღვარგარეთელი სტუმრები.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა **ა. ტ. პოლიანსკიმ.**

ყრილობაზე შევიკრიბეთ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის წელს, მთელი ქვეყნისათვის ღირსშესანიშნავ დროს, როცა მიმდინარეობს გარდაქმნის ქვშმარიტად რევოლუციური პროცესი. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმს, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ გარდაქმნის საბოლოო მიზანია ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის განახლება, სოციალისტური წყობილების შემოქმედებითი პოტენციალის ყველაზე სრული გამოვლენა.

არქიტექტურისა და კაპიტალური მშენებლობის სრულყოფის დარგში საკვანძო ამოცანები განსაზღვრა პარტიის XXVII ყრილობამ. მათ შორის არის საბინაო პრობლემის გადაწყვეტა და 2000 წლისათვის თითოეული საბჭოთა ოჯახის უზრუნველყოფა ცალკე ბინით ან ინდივიდუალური სახლით. სოციალური პოლიტიკის გააქტიურებასთან დაკავშირებით მკვეთრად გაიზრდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო სფეროს ობიექტების მშენებლობის მოცულობა. უნდა განზრახულდეს საბინაო, საზოგადოებრივი ფონდისა და სამრეწველო საწარმოების ფართო და თანამიმდევრული მოდერნიზაცია და რეკონსტრუქცია, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანთა შრომის, ყოფისა და დასვენების საუკეთესო პირობებს. ეს ფართო პროგრამა განსაზღვრავს ყველა საბჭოთა არქიტექტორის საქმიანობის შიმართულებებს.

შეგვიძლია სიამაყით დავასახელოთ საბჭოთა არქიტექტორების მრავალი ბრწყინვალე მიღწევა. სულ 70 წლის მანძილზე განხორციელდა დასახლების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ქალაქებისა და სოფლების სამრეწველო და სოციალური განვითარების თანამედროვე სისტემის შექმნის ფიდიული სამოშაო.

ფიზიწლად ვიფასებთ რა მიღწევებს, უფ

პარტიული ცხოვრება:

კომპეტენტურობა, ნდობა, მომთხოვნელობა

კადრები, ისევ კადრები

გურჯაანის რაიონის სამეურნეო მიღწევებს, მის პოტენციალს და აქაურ გამოჯე მშრომელებს გაზეთის ფართო მკითხველის წინაშე წარდგენა არ სჭირდება. ალბათ, რესპუბლიკის ბევრ რაიონს შეშურდება გურჯაანელთა შემართება, მასშტაბი, საბოლოო შედეგები. თუნდაც მარტო ის რად ღირს, რომ შარშან, ჭირვეული ამინდების მიუხედავად, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის, აბრეშუმის პარკის, მარცვლეულის, ბოსტნეულის, ბაღჩეულის, ხილის დამზადების სახელმწიფო გეგმა დიდი გადაჭარბებით — შესაბამისად 102, 106,6, 113,6, 110, 104,4, 180,8 (!) 107,7, 102,7, 109,6 პროცენტით შეასრულეს. ერთადერთი ყურძენი იყო, რომლის დამზადების გეგმა 100 პროცენტით ვერ შესრულდა, მაგრამ რას იზამ: ნთქვამია, ძალა აღმართს ხნავსო, — შარშანდელმა სეტყვამ მაინც თავისი ქნა!

არც წლევანდელი 5 თვის მაჩვენებლები გამოიყურება ურიგოდ. მაგრამ დროა პირუთვნელად ითქვას სიმართლე: წლევანდელი, შარშანდელი თუ შარშანწინდელი სამეურნეო მაჩვენებლები უფრო სარეკორდო და, რაც მთავარია, უფრო სტაბილური იქნებოდა, რაიონს ყველა შრომითს კოლექტივსა და პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმების მოთხოვნილებათა შესაბამისად რომ მიმდინარეობდეს გარდაქმნის პროცესი. ეს საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ახლა, ვინაიდან როგორც ამ დღეებში სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მოწყობილ თათბირზე ითქვა, თვის დამლევს გაიმართება პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომლის დღის წესრიგში იქნება ქვეყნის ეკონომიკის მართვის გარდაქმნის ძირეული საკითხი. ეს პრობლემა კი თანაბრად სისხლხორცეულია თითოეული პარტიული რგოლისათვის, ყველა შრომითი კოლექტივისათვის.

დღეს გურჯაანელი მშრომელებისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს (ვინაიდან პარტიის რაიკომი ყოველ თათბირზე, პლენუმზე, კრებასა და ბიუროს სხდომაზე პრინციპულად აცხადებს), რომ უმრავლეს შრომითს კოლექტივებში გარდაქმნა ეკონომიკური თუ ფსიქოლოგიური — დაიწყეს უგერგილოდ, ზანტად, შემოქმედებითი ძიებისა და საკუთარი ინიციატივის გარეშე. ზოგან კი არც ფიქრობენ გარდაქმნაზე, ისევ ერთ ადგილს ტკეპნიან და ძველებურად ზევიდან ელიან რეცეპტებს.

ერთი სიტყვით, გარდაქმნის პროცესი საგრძნობლად მოიკოჭლებს რაიონში. მიზეზი? — იკითხავთ. პასუხი ადვილზე ადვილია: კადრები და გარდაქმნა გასახელმწიფო დისციპლინის უხეში დარღვევა, კონტროლის მოდუნება, ლოთობა... ვიყოთ გულახდილნი: ამნაირი სენით დაავადებულ კადრებს რა გარდაქმნა უნდა განეხორციელებინათ?! ცხადია, ორიოდე წლის მანძილზე ამდენი მუშაკის დასჯა თავისთავად არ არის თავმოსაწონი, მაგრამ პარტიის რაიკომის სახელოდ მაინც უნდა ითქვას, რომ მან შექმნა პრინციპულობის ატმოსფერო და ყველას აგრძნობინა: რაიონის მუნდირის ღირსებისთვის თვალს არაფერზე მოხუჭავს, რომ ამიერიდან არ იქნებიან გაუკრძალებელი უბნები, ე. წ. „საუფლისწულო“ მეურნეობები, ხელშეუხებელი მუშაკები — კანონისა და პარტიული დისციპლინის წინაშე ყველა თანაბრად აგებს პასუხს! და პარტიის რაიკომის ასეთი პოლიტიკა თავისთავად უკვე გარდაქმნის უმაღლესი გამოსახულებაა, ვინაიდან მან მშრომელი ხალხის მხარდაჭერა პოვა, ერთობ განმტკიცდა დისციპლინა, ასევე პრაქტიკულად გამართლდა ბევრი ახალგაზრდა კადრის დაწინაურება. და მაინც ჭირს სიმედო, ნაკადი კადრი. სუსტია რეზერვიც. ბოლო ორ წელიწადში 23 საზოგადოებრივი მეურნეობიდან თერთმეტ მათგანს ახალი ხელმძღვანელი ჩაუყენეს სათავეში, ხოლო № 3 მოძრავ-მექანიზებულ კოლონაში ამავე პერიოდში შეიცვალა... 5 ხელმძღვანელი, 2 მთავარი ინჟინერი, 4 წმყვანი სპეციალისტი, რამაც კიდევ უფრო გაუარესა წარმოების ისედაც უხეირო მაჩვენებლები: ზარალი 295 ათასი მანეთიდან წელს უკვე მილიონ 202 ათას მანეთამდე გაიზარდა.

სამეურნეო და პარტიული კადრების უსულგულობითა და დაუდევრობით რაიონს ის ზოგადი და შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება, ესე იგი არა აქვს დოკუმენტი, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის, მთელი ჩვენი საქმიანობის მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს და ურომლისოდაც ვერ დააღწევს თავს პრობლემებისადმი სუბიექტურ მიდგომას და ქაოსს! ასეთ პირობებში მუშობის დაგეგმვის, მეურნეობის მართვის რა ხარისხზე შეიძლება ლაპარაკი?!.

საინტერესოა, რას ფიქრობს ამის თაობაზე ამერიკაკავასიის რკინიგზის ხელმძღვანელობა, რომელმაც მეთერთმეტე ხუთწლედის საწარმოო გეგმაც თურმე ერთი წლის დაგვიანებით გადასცა დეპოს?

ამას ემატება არაჯანსაღი სალიანდაგო ზოლების სიმრავლე. პარკის 6 ლიანდაგიდან 4 გადაუღებელ კაპიტალურ რემონტს საჭიროებს. ხაშურის სალიანდაგო დისტანციის ხელმძღვანელობა კი ღუმს...

სამ წელზე მეტია ჭიანურდება დეპოს ტექნიკური მომსახურების პუნქტის მშენებლობა. სრულიად შეუწყნარებელია აწევითი შეკეთების საამქროს მშენებლობის ტემპი, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სამშენებლო ტრესტის უფროსს გ. ხარაბაძეს, სამშენებლო სამმართველოს უფროსს ე. ბოჭორიშვილსა და სამშენებლო სამმართველოს № 1 სამუშაოთა მწარმოებელს გ. ციცქიშვილს ეკისრებათ.

სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების, ავტობლოკირების ახალი ტექნოლოგიის, რობოტ-კომპიუტერული სისტემების წარმოებაში გამოყენებისადმი ინერტული დამოკიდებულების შედეგად დღემდე არაფერი კეთდება ბელორუს რკინიგზელთა საქვეყნო გახმაურებული თაოსნობის დანერგვისათვის, მხოლოდ ეს არის, შემუშავდა ტექნიკურ-ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებები და ამით დამთავრდა საქმე.

საკვირველია ამერიკაკავასიის რკინიგზის სამმართველოს პასიური პოზიცია ამ დიდი სახელმწიფოებრივი საქმისადმი. როგორც ჩანს, ზემოხსენებული მეთოდის დანერგვას მუშახელის მექანიკური შემცირებით, და არა შრომის ნაყოფიერების ზრდით ვარაუდობენ. არავის უზრუნია სალოკომოტივო დეპოს პროგრესული ტექნიკის ბაზაზე ინფორმაციის ავტომატიზაციისა და მექანიზაციის, რაც ბუნებრივად დააყენებდა მუშახელის გამოთავისუფლების საკითხს. ცარგად როდია გაზრდილი წარმოებიდან დასათხოვ მუშაკთა შრომითი დასაქმებისა და სხვა საკითხები.

რკინიგზის თბილისის განყოფილების 1986 წლის 19 ნოემბრის № 81 დადგენილებით სალოკომოტივო დეპოში უნდა გამოთავისუფლდეს 129 კაცი, რაც წლიურად 352 ათას მანეთი ეკონომიას შექმნის, გამოდის, რომ გამოთავისუფლებული თითოეული მუშაკის ყოველთვიური ხელფასი საშუალოდ 226 მანეთია. ამდენს კი ხხლოლო მემანქანეები ღებულობენ, რომელთა წარმოებიდან წასვლა შეუძლებელია, ხოლო რაც შეეხება სამანევრო და „ეკაპირებაზე გადაყვანილ უთანაშემწო მემანქანეობის შემოღებას, იგი სალოკომოტივო დეპოს უკვე ადრეული წლების ისტორიაა, როცა 1977-1980 წლებში გამოთავისუფლდა მიმწოლი ელმავლის 60 და თბომავლის 50-ზე მეტი მემანქანის თანაშემწე...

ოქტომბარის რევოლუციის ორდენოსანი ამერიკაკავასიის რკინიგზის ხაშურის სალოკომოტივო დეპო დიდი შრომითი და რევოლუციური ტრადიციების ორგანიზაციაა. მის კოლექტივში გაერთიანებულია 846 კაცი, რომელთა შორის 340 კომუნისტია. რთულ-პროფილიან უბანს — სურამის უღელტეხილს ემსახურება იგი. ეს არის პირველი სიჩქარე საელმავლო დეპო, რომელიც ბევრჯერ გასულა მოწინავე პოზიციებზე, გაუმარჯვია საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მაგრამ რაოდენ საწყენი და გულსატკენიც უნდა იყოს ეს ფაქტი, ბოლო ხანს მან დათმო მიღწეული, ხელიდან გაუშვა ინიციატივა და შრომითი ქიდილის არიერგარდში გადაინაცვლა.

დაგვეთანხმებით, ძნელია ასეთი ნათელი ბიოგრაფიის მქონე კოლექტივის შესახებ სასაყვედურო თუ საძრახისი თქვა, მაგრამ ამას, პირველ ყოვლისა, მისივე სამოცდაოთხ კეთილდღეობისა თუ შრომითი აღზევების, მოყვარისადმი პირში ზრახვის ინტერესები მოითხოვს...

დეპო ჯერ კიდევ 1986 წელს აღმოჩნდა რთულ მდგომარეობაში. ვერ შეასრულა წლიური გეგმა, ხოლო მიმდინარე წლის პირველი კვარტლის შედეგები საერთოდ საგანგაშოა. შარშანდელი ტვირთზიდვის გეგმა 99,7 პროცენტით, ხოლო ლოკომოტივების საერთო გარბენისა 92,4 პროცენტით შესრულდა. შრომის ნაყოფიერების დავალება 98,2 პროცენტით შესრულდა. შესაბამისად გაუარესდა სხვა ეკონომიკური მაჩვენებლებიც, გადაითარჯა ხელფასის ფონდის 214,7 ათასი მანეთი, 887,2 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 127 ტონა საწვავი.

როგორც ჩანს, შექმნილი მდგომარეობა სერიოზული განგაშის საფუძველს ქმნიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არც დეპოს ხელმძღვანელობას, არც პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს არაფერი უღონიათ. მდგომარეობის გამოსასწორ ე ბლად. არადა, საჭირო იყო საქმიანობის ღრმა ანალიზი და აქედან სათანადო დასკვნის გამოტანა, გამოუყენებელი რეზერვების ამოქმედება, სწორი გზების ძიება.

მიჩუმათებამ, არსებულ ჩავარდნათა მიფუჩეჩებამ, სამეურნეო მექანიზმის მართვის დაბალ მ ა პროფესიულმა დონემ, შრომისა და საფინანსო დისციპლინისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ, ნედლეულისა და ენერგორესურსების უყაირათო ხარჯვამ წლეულს კიდევ უფრო გაართულა მდგომარეობა.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ვერ შესრულდა ტვირთზიდვისა და ლოკომოტივების გარბენის გეგმები, გადაიხარჯა 13 ტონა საწვავი.

რა მოხდა, რამ გამოიწვია შრომითი კოლექტივის ასეთი ჩამორჩენა?

— ყველაფერი ეს, — განმარტა პარტიული კომიტეტის მდივანმა ო. ინასარიძემ, — იმან გამოიწვია, რომ სალოკომოტივო დეპოს პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები და სამეურნეო ხელმძღვანელები ჯერ კიდევ არ ღონობენ ყველაფერს მომუშავეთა გაქტიურებისათვის, ვერ ვიყენებთ ყველა შესაძლებლობას სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. მომუშავეთა გარკვეულ ნაწილს არა აქვს მიჩენილი საკუთარი ადგილი. სუსტია პარტიული კომიტეტის როლი წარმოების მართვაში. არ არის დასაბუთული დეპოს ადმინისტრაციის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის ერთიანი პროგრამა, რომელიც გაჯანსაღებდა მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატს, გააძლიერებდა კოლექტივის თითოეული მუშაკის პერსონალურ პასუხისმგებლობას.

ნაკლოვანებათა გულახდილი აღიარება, ცხადია, კარგია, მაგრამ იგი არ უხსნის პასუხისმგებლობას დეპოელ ამხანაგებს. მერე და ვინ დაუშალა მათ გააზრებულად წარემართათ საქმიანობა. თითოეული მუშაკისათვის მოეძებნათ თავისი ადგილი, შეემუშავებინათ გაზრდილი ერთიანი სამოქმედო პროგრამა, რომელიც გააჯანსაღებდა შრომითი კოლექტივის თითოეული მუშაკის პერსონალურ პასუხისმგებლობას? მაშინ საქმე უკეთ წავიდოდა და, ალბათ, სასაყვედურო და გულსატკენიც აღარაფერი გვექნებოდა.

არის სხვა, კურიოზამდე მისული ფაქტები, რომლებსაც დეპოს მუშაობის ჩავარდნა, მუშაკთა ერთი ნაწილის უპასუხისმ გ ებლობა, წარმოების ურიტმობა, უყაირათობა და სტიქიურობა მოჰყვა.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ სალოკომოტივო დეპოს დღესაც არ გააჩნია ხუთწლიანი გეგმა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება, ესე იგი არა აქვს დოკუმენტი, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის, მთელი ჩვენი საქმიანობის მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს და ურომლისოდაც ვერ დააღწევს თავს პრობლემებისადმი სუბიექტურ მიდგომას და ქაოსს! ასეთ პირობებში მუშობის დაგეგმვის, მეურნეობის მართვის რა ხარისხზე შეიძლება ლაპარაკი?!.

საინტერესოა, რას ფიქრობს ამის თაობაზე ამერიკაკავასიის რკინიგზის ხელმძღვანელობა, რომელმაც მეთერთმეტე ხუთწლედის საწარმოო გეგმაც თურმე ერთი წლის დაგვიანებით გადასცა დეპოს?

ამას ემატება არაჯანსაღი სალიანდაგო ზოლების სიმრავლე. პარკის 6 ლიანდაგიდან 4 გადაუღებელ კაპიტალურ რემონტს საჭიროებს. ხაშურის სალიანდაგო დისტანციის ხელმძღვანელობა კი ღუმს...

სამ წელზე მეტია ჭიანურდება დეპოს ტექნიკური მომსახურების პუნქტის მშენებლობა. სრულიად შეუწყნარებელია აწევითი შეკეთების საამქროს მშენებლობის ტემპი, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ამერიკაკავასიის რკინიგზის სამმართველოს სამშენებლო ტრესტის უფროსს გ. ხარაბაძეს, სამშენებლო სამმართველოს უფროსს ე. ბოჭორიშვილსა და სამშენებლო სამმართველოს № 1 სამუშაოთა მწარმოებელს გ. ციცქიშვილს ეკისრებათ.

სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების, ავტობლოკირების ახალი ტექნოლოგიის, რობოტ-კომპიუტერული სისტემების წარმოებაში გამოყენებისადმი ინერტული დამოკიდებულების შედეგად დღემდე არაფერი კეთდება ბელორუს რკინიგზელთა საქვეყნო გახმაურებული თაოსნობის დანერგვისათვის, მხოლოდ ეს არის, შემუშავდა ტექნიკურ-ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებები და ამით დამთავრდა საქმე.

საკვირველია ამერიკაკავასიის რკინიგზის სამმართველოს პასიური პოზიცია ამ დიდი სახელმწიფოებრივი საქმისადმი. როგორც ჩანს, ზემოხსენებული მეთოდის დანერგვას მუშახელის მექანიკური შემცირებით, და არა შრომის ნაყოფიერების ზრდით ვარაუდობენ. არავის უზრუნია სალოკომოტივო დეპოს პროგრესული ტექნოლოგიით აღჭურვა-განახლებაზე, სამუშაო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციაზე, რაც ბუნებრივად დააყენებდა მუშახელის გამოთავისუფლების საკითხს. ცარგად როდია გაზრდილი წარმოებიდან დასათხოვ მუშაკ თ ა შრომითი დასაქმებისა და სხვა საკითხები.

რკინიგზის თბილისის განყოფილების 1986 წლის 19 ნოემბრის № 81 დადგენილებით სალოკომოტივო დეპოში უნდა გამოთავისუფლდეს 129 კაცი, რაც წლიურად 352 ათას მანეთი ეკონომიას შექმნის, გამოდის, რომ გამოთავისუფლებული თითოეული მუშაკის ყოველთვიური ხელფასი საშუალოდ 226 მანეთია. ამდენს კი ხხლოლო მემანქანეები ღებულობენ, რომელთა წარმოებიდან წასვლა შეუძლებელია, ხოლო რაც შეეხება სამანევრო და „ეკაპირებაზე გადაყვანილ უთანაშემწო მემანქანეობის შემოღებას, იგი სალოკომოტივო დეპოს უკვე ადრეული წლების ისტორიაა, როცა 1977-1980 წლებში გამოთავისუფლდა მიმწოლი ელმავლის 60 და თბომავლის 50-ზე მეტი მემანქანის თანაშემწე...

ᲛᲬᲙᲘᲪᲓᲔᲑᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲛᲚᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ

16 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ თბილისში გაიხსნა სოციალისტური ქვეყნების საკონტროლო ორგანიზაციათა გენერალური დირექტორების პლენარული კონფერენცია. იგი განიხილავს საქონლის კონტროლის, სხვა ქვეყნების ბაზრებზე თანამშრომლობის დარგში ერთობლივი მუშაობის საკვანძო საკითხებს, დასახავს ამ მიმართულებით კოორდინაციისა და თანამშემქედების შემდგომი განვითარების პერსპექტივებს.

მიესალმა რა კონფერენციის მონაწილეებს, საქართველოს სსრ საკავშირო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. აბგელედიანმა აღნიშნა, რომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს არსებობის 30 წლის მანძილზე შეძენილია თანამშრომლობის მდიდარი გამოცდილება საგეგმო საქმიანობისა და სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციის, სპეციალიზაციისა და კოოპერაციის შემდგომი განვითარების დარგში. ამ თანამშრომლობის განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი და ფართო მასშტაბი განსაზღვრა სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამის მიღებამ.

კონფერენციაზე გამოვიდა სსრ კავშირის საკავშირო-სამრეწველო პალატის სასაქონლო ეკსპერტიზის სამმართველოს უფროსი ა. პოდვოლოცკი რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოციალისტური ქვეყნების საკონტროლო ორგანიზაციათა თანამშრომლობა დადებით გავლენას ახდენს საიმპორტო და საექსპორტო პროდუქციის ხარისხზე, ეს კი კონტროლის საბოლოო მიზანი და არსია.

პირველ დღეს მოისმინეს სსრ კავშირის საკავშირო-სამრეწველო პალატის ანგარიში „კონასა“ ორი წლის მანძილზე კონტროლის დარგში მუშაობის შესახებ.

ანგარიშები გააკეთეს აგრეთვე პოლონეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, კუბის წარმომადგენლებმა.

კონფერენციის გახსნას დაესწრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. მელქაძე.

კონფერენცია სამ დღეს გასტანს.

(საქინფორმი).

ᲑᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ — ᲒᲣᲡᲢᲘ ᲠᲘᲢᲛᲘ!

ᲨᲔᲣᲠᲐᲛᲓᲐ ქალაქ თბილისში ბინებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის გეგმის მიმდინარე წლის ხუთი თვის შესრულების შედეგები.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ძირითად მაჩვენებელთა ცხრილს:

დასახელება	1987 წლის გეგმა	შესრულება 5 თვის მანძილზე			
		წლის პირველი ნახევრის გეგმა	ფაქტობრივი	შესრულების	
				საანგარიშო პერიოდში	წლის გეგმასთან შედარებით
ძირითადი ფონდების ამოქმედება (მილიონი მანეთი)	575,6	173,3	79,3	45,8	13,8
საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის ამოქმედება (ათასი კვადრატული მეტრი)	609,6	226,8	152,4	67,2	25
ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების ამოქმედება (სასწავლო ადგილები)	7018	7018	1176	16,8	16,8
სკოლამდელ დაწესებულებათა ამოქმედება (ადგილები)	1570	720	75	10,4	4,8
პროფტექსასწავლებელთა ამოქმედება (მოსწავლეთა ადგილები)	5237	—	—	—	—
საავადმყოფოთა ამოქმედება (საწოლები)	740	168	168	100	22,7
ამბულატორიულ-პოლიკლინიკური ადგილების ამოქმედება (ცვლაპაციენტი)	2600	1450	600	41,4	23,1

მაჩვენებლები მოწმობს, რომ წლიური პროგრამის დავალებათა შესრულების ხვედრითი წილი მცირეა, ეს კი გამოიწვევს მომავალ პერიოდში ავრალსა და იერიშობანას, მოითხოვს ადამიანის რესურსების, განსაკუთრებით მომპირკეთებლების დამატებით გამოძებნას.

სკოლების საექსპლოატაციოდ გადაცემას ჩაშლის საფრთხე უქმნიან რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტი (ტრესტის მმართველი რ. ნ. თათეიშვილი), და „საქაგრომშენის“ № 1 ტრესტი (ტრესტის მმართველი ა. ი. მონიავა). უადრესად არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ სამუშაოებს სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობებზე № 2 ტრესტი (მმართველი დ. ო. ჩიჩუა), „თბილისქალაქშენის“ გაერთიანება (უფროსი ი. ა. ქეთხოშვილი), სტომატოლოგიური პოლიკლინიკის მშენებლობაზე თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სარემონტო-სამშენებლო ტრესტი (ტრესტის მმართველი გ. ვ. კვიჭიძე).

ნელა ასრულებენ ბინების მშენებლობის სამუშაოებს „კავკასელექტროსეტყველმშენი“ (მმართველი გ. გ. სარალიძე), „საქმიდროენერგოსმშენი“ (მ. ა. ცისკარიშვილი), „გზამშენტრესტი“ (გ. ა. ხაზარაძე), „ხიდმშენი“ (ბ. მ. ჭიღვარია), „თბილისგვირაბმშენი“ (ვ. დ. გოცირიძე) და მთელი რიგი სხვა ორგანიზაციები.

(საქინფორმი).

ᲠᲝᲪᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲡᲯᲝᲑᲡ ᲐᲠᲐᲗᲥᲛᲐᲡᲐ

სალოკომოტივო დეპო — გარდაქმნის მიღმა?

Ზ. ᲛᲔᲮᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲞᲔᲪ. ᲙᲝᲠ.

ᲝᲪ ᲬᲔᲚᲖᲔ ᲛᲔᲢᲘᲐ ᲙᲘᲗᲘᲚᲘᲜᲓᲘᲡᲘᲔᲠᲐᲓ ᲨᲠᲝᲛᲝᲑᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲡᲢᲠᲣᲛᲔᲜᲢᲘ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲛᲘᲠᲝᲨᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲝᲠᲘ ᲤᲝᲗᲝᲚᲐ ᲕᲔᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲓᲐᲒᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲐᲜ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲐ. ᲘᲒᲘ ᲐᲮᲚᲐ ᲡᲐᲐᲛᲘᲠᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘᲐ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲤᲝᲗᲝᲚᲔᲗᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲪᲘᲚᲘᲗ — ᲛᲐᲛᲘᲣᲯᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲢᲐ ᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲐᲛᲝᲘᲧᲝᲤᲔᲑᲓᲐ. ᲨᲕᲘᲚᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲘᲓᲘᲐᲜᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐᲜ ᲘᲠᲯᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲒ ᲨᲔᲓᲔᲒᲡᲐᲪ ᲐᲦᲬᲔᲕᲔᲜ ᲛᲐᲜ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲨᲔᲛᲝᲛᲘᲧᲕᲐᲜᲔᲚᲘ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲐᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲓᲐᲗᲛᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲦᲐᲒᲐᲜᲘᲡᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲐᲜᲝᲨᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ ᲬᲣᲧᲝᲑᲡ ᲮᲔᲚᲘ.

პარტიის რაიკომი, მისი მიუერო აქტიურად იბრძვიან ლენინური საკადრო პოლიტიკის გაგანხორციელებისათვის. ბოლო დროს საგრძნობლად იკლო პარტიის რაიკომთან არსებული კომისიების, საბჭოებ ი ს, მუშა ჯგუფების რაოდენობამ. თუ 1985 წელს აქ არსებობდა 15 სამუშაო ჯგუფი და საბჭო, სადაც ითვლებოდა 153 წევრი და გაიმართა 146 სხდომა, რომელშიც მონაწილეობდა 2.074 კაცი, შარშან ეს ფორმები შემცირდა 12 ერთეულით, ხოლო მათი წევრთა რაოდენობა 107-ით. პრაქტიკაში დამკვიდრდა რაისაბჭოს აღმასკომის, აგროსამრეწველო გაერთიანების, კომკავშირის რაიკომისა და სახალხო კონტროლის რაინონული კომიტეტის სამუშაო გეგმების შედარება-კოორდინირება, რათა არ მოხდეს დუბლირება.

ხელმძღვანელი კადრების აღზრდისა და განაწილების სისტემის სრულყოფის მიზნით მუშავდება რაიონული მიზნობრივი პროგრამა „კადრები“, რომელშიც ნათლად იქნება განსაზღვრული ხელმძღვანელ მუშაკებთან და მათ რეზერვებთან მუშაობის ახალი ღონისძიებები.

რაიონის ხელმძღვანელობის მიერ გაშლილი უკომპრომისო ბრძოლა კიდევ ერთხელ მოაგონებს ჯიმითის, მელაანის, შრომის, ახაშენის, მუკუზნის, ბაკურციხის, კაჭრეთის, ჩაილრის საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებსა და პარტიულ კადრებს, რომ გარდაქმნის პროცესში მათ აუცილებელი და დროული დასკვნების გამოტანა დასჭირდებათ.

კომპლექსის მომავალი

ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲘᲡ რაიონის კრწანისის მეღორეობის კომპლექსს ათი წლის ისტორია აქვს. კომპლექსი თბილისისა და რუსთავის სურსათის ნარჩენებისაგან აწარმოებს პროდუქციას. კომპლექსი დასახულ ამოცანას პირნათლად ართმევს თავს, ყოველწლიურად ზრდის ღორის ხორცის წარმოებას, ამცირებს თვითღირებულებას, დაბნდებული თანხებიდან სოლიდურ უკუგებას იღებს. კოლექტივმა დიდი ხანია უარი თქვა სახელმწიფო დოტაციაზე. მარტო შარშან აქ 185 ათასი მანეთი წმინდა მოგება მიიღეს.

როგორ აღწევენ სასურველ შედეგს კრწანისელი მეღორეები? — შევეკითხეთ კომპლექსის მესვეურებს. ამ, რა გვითხრეს მათ:

ᲢᲠᲘᲡᲢᲐᲜ ᲯᲘᲠᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ, ᲕᲔᲢᲔᲠᲘᲜᲐᲠᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ: თავიდანვე გეზი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვაზე ავიღეთ. ჯერჯერობით მწყობრშია კომპლექსის პირველი რიგი 6 ათასი ღორისათვის, მაგრამ ჩვენ გაცილებით მეტი ღორი გვყავს. დაგვეხმარა შჩეკინოს ქიმიურ საწარმოთა გამოცდილება, რომელიც არსებული ფართობის მაქსიმალურ გამოყენებას ითვალისწინებს. საამქროებში საკმაოდ იყო ეგრეთ წოდებული თავისუფალი მოედნები. ჩვენ მოედნებს რეკონსტრუქციის შედეგად გადავაკეთებთ პრუტყვის სადგომად. დავნერგეთ აგრეთვე ერთჯერადი ტუბების ბანაკური შენახვის მეთოდი, ზაფხულის პერიოდში მათ ვტოვებთ ღია ცის ქვეშ და ისინიც კარგად გრძნობენ თავს.

მტკიცე კავშირი დავამყარეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოქიმიის კათედრასთან, რომლის გამგის პროფესორ ნ. ალექსიძის ინიციატივით ღორის ჩხინკელა ახლა უკვე აღარ იყრება. მისგან მიიღება პლასტიკური მასები და მზადდება ელექტროგამწყობები, სამშენებლო ფანერი, ჩითილების გამოსაყენი ქოთნები და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები. მისგან ღებულობენ აგრეთვე ცხოველურ ცილებს, რომლებიც ამდიდრებს კომბინირებულ საკვებს. ამ მიზნით აშენდა და მალე საექსპლუატაციოდ გადაეცემა მიკრობიოლოგიური და ბიოლოგიური საამქროები, მზადდება აგრეთვე ორგანული სასუქი სასათბურო მეურნეობისათვის. რაკი სიტყვამ მოიტანა, უნდა ვთქვა, რომ ჩვენი საწარმო მალე მთლიანად უნარჩენო იქნება. აბა, წარმოვიდგინოთ ჩვენი განზრახვა: ადგილზე უნდა მოვაწყოთ სასაკლაო და დავამზადოთ ბეკონი, ლორი, თავფეხის მუკუზი, კუბატი, „სალტისონი“, სამწვადე ხორცი, ძვლებისაგან — ძვლის ფხვნილი, რომელიც აუცილებელია კომპონენტია კომბინირებული საკვების მისაღებად. საამისოდ ამჟამად შენდება სათანადო გადასამუშავებელი საამქრო.

**ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲛᲔᲚᲘᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲖᲝᲝᲢᲔ

დეპუტატების აქტიურობით

ქობულეთის რაიონში არის სოფელი ქაქუთი. სუბტროპიკული ზონის ჩვეულებრივი, შეძლებული სოფელი. მოასფალტებული გზა ნაძვების ტყეს მიხდევს. მარჯვნივ ჩაის თვალუწვდენი პლანტაციებია, მარცხნივაც — პლანტაციები. ჩაი აქ ისე უხვად არის, სახელმწიფომ გადაწყვიტა ქაქუთში ჩაის ახალი ფაბრიკა ააშენოს. მივყვებით ასფალტს. ნაძვების ტყეს უკან გამოჩნდა თეთრად მოქათქათე კულტურის სახლი. ერთი წელია, რაც იგი საეკლესიოდ გადაეცა. კულტურის სახლს იქით მოჩანს ფერდობზე შეფენილი ქვითკირის სახლები. სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე სულიკო ოქროპირიძე მოვიკითხეთ. ბრიგადაშია წასული, ჩქარა დაბრუნდებიო, გვითხრეს. სოფლის ცენტრი დავათვალიერეთ. კოლმეურნეობისა და სასოფლო საბჭოს შენობები შეუფერებელ ბინებშია. არც საავჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტები გამოირჩევა. კულტურის სახლი კი... მოგიყვეს ლხენა! ნახევად ღირს: ვეებერთელა კოლონადებით დამშვენებული. ქაქუთელთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა საქვეყნო გაითქვა სახელი, მოსკოვისა და ბალტიისპირეთის მაყურებლები მოხიბლა ქართული სიმღერებითა და ცეკვა-ლოგვანი ცეკვებით. დიპლომებიც დაიმსახურეს, სიგელებიც და მედლებიც. ამისთვის ბარაქალა ქაქუთელებს! მათ შრომაშიც გამოიდეს თავი. შარშან 1580 ტონის ნაცვლად 1700 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. საშუალო ჰექტარობრიგმა მოსავალმა 12.500 კილოგრამს გადააჭარბა. ეს უდაფრო კარგი შედეგია. გადაჭარბებით შესრულდა ხორცის, რძის, აბრეშუმის პარკის, სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები.

სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოლოდინში კულტურის სახლში შევიჭიდეთ. ვეტერანებიანი მხატვრულ ბრიგადას რეპეტიციები ჰქონდა. ერთგან დრამატული წრე მეცადინეობდა. ახალგაზრდებს გამოვეკითხეთ: კულტურის სასახლეში 14 სხვადასხვა სახის წრეა, რომლებშიც ოთხასამდე კაცია გაერთიანებული. ინტერკლუბიც აქვთ, დისკოთეკაც. თითქმის ყოველ საღამოს ცეკვები იმართება. ქაქუთი იმითაც გამოირჩევა, რომ არ არის ახალგაზრდობის მიგრაცია. როცა მათ სულიერი საზრდო აქვთ, თვალი გაქცევაზე არ უპირავთ.

ერთი რამ მაინც არ მესიამოვნა. დღის 4 საათი იყო. კოლმეურნეთა დიდი უმრავლესობა პლანტაციებში შრომობდა. ბარავდნენ, სასუქები შეჰქონდათ, ჩაის სხლავდნენ. აქ კი... ოცამდე ახალგაზრდა დღისით-მზისით ერთობოდა. კლუბებს სოფლის ჩირაღდნები უწოდეს. იგი ძირითადად საღამოთი უნდა იღებოდეს და ღონისძიებებითაც ისე უნდა იყოს დატვირთული, ხანდაზმულებსაც მიუხაროდეთ.

ამასობაში სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე სულიკო ოქროპირიძეც მოვიდა, ორმოც წელს გადაცილებული, ენერგიული კაცი. 13 წელია სასოფლო საბჭოს უდგას სათავეში. ერთი კი ცხადია, ბოლო ათწლეულში სოფელში ბევრი რამ გაკეთდა შრომის ორგანიზაციის, კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების, მართლწესრიგის განმტკიცების მხრივ. კარგა ხანია საბჭოს ტერიტორიაზე სისხლის სამართლის დანაშაული არ მომხდარა.

— როგორ აღწევთ ასეთ შედეგებს? — ვკითხე სულიკოს.

— ეს ადვილი ასახსნელია, — მითხრა. — სასოფლო საბჭო დიდი არ არის — 400 კომლი. საბჭოში 50 პედაგოგია, ორმოცამდე რაიონული და ადგილობრივი საბჭოს დეპუტატი, ექიმები, ინჟინრები, ბრიგადიერები, კომკავშირული და პროფკავშირული მუშაკები. აი ჩემი აქტივი. ოჯახს ვერ ნახავთ, სადაც კომუნისტი და აქტივისტი არ იყოს. როცა ერთსულოვნებაა და პასუხისმგებლობაც გაზრდილია, იქ ყოველგვარ დანაშაულს საფუძველი ეცლება.

ჩვენ ამჯერად არ დაგვიწყია ოფიციალური ქაღალდების შემოწმება, არც სესიებზე განხილული საკითხები გვინახავს. ჩვენი მიზანი იყო გაგვეგო, როგორ ეხმაურება საბჭო პარტიის მოწოდებას, როგორ მიმდინარეობს გარდაქმნა. როგორ ეხმარება იგი კოლმეურნეობასა და საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკას — სამეურნეო წარმოების გაგვითარებაში, გეგმების შესრულებაში, ბუნების დაცვისა და სხვა აქტუალური საკითხების გადაწყვეტაში.

პლანტაციისკენ გავემართეთ. მინდოდა რამდენიმე დეპუტატს გავცნობოდი. დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის პირად მაგალითს. თანამდებობის პირი ან დეპუტატი შრომისმოყვარე, საერთო საქმისათვის თავდადებული თუ არ არის, ცხადია, მას მორალური უფლება არა აქვს სხვას მიუთითოს და მოჰკითხოს.

ადგილობრივი საბჭოს დეპუტატი მერი მართალიშვილი ისეთი გამალებით სხლავდა ჩაის, უხერხულობაც კი ვიგრძენით, ხელი რომ შევეშალეთ. მერი ორი შვილის დედაა, აქა-იქ ჭაღარაც კი გამორევია. შარშან 12 ტონამდე მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. თავდადებით სოფელში ვეღარავის გაკვირვებ, ის უკვირთ, ზოგიერთები გაზე რომ დგანან. სასოფლო საბჭოს რითი ეხმარებით-მეთქი, ვკითხე მერის. გაიღიმა, ჯერ სულიკოს გადახედა, შემდეგ მე. რასაც დამაგალებს, იმას ვაკეთებ; დეპუტატი მოწონავე უნდა იყოს, ვცდილობ არავის ჩამოვრჩეო. ჩვენს ბრიგადაში რადიო არ მუშაობს. რადიოს ბევრი საინტერესო ამბავი მოაქვს, რატომ არ უნდა მუშაობდეს? სესიაზე დავსვი ეს საკითხი და შეგვპირდნენ, მოვაგვარებთო. ზოგჯერ მეზობლური დავის მოგვარებასაც მავალებენ.

დეპუტატი ნინო ციცხლაძე კომკავშრომელია. საშუალო სკოლა 4 წლის წინათ დაამთავრა და მეჩაიეებს ამოუდგა მხარში. შარშანწინ 7 ტონა მოკრიფა, შარშან — 8 ტონა. აქტიური, მოწინავე მეჩაიეა. საქართველოს ალკა XXXIII ყრილობის დელეგატად აირჩიეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის არა მარტო ქაქუთელებმა წარგზავნეს, არამედ მთელი აჭარის კომკავშრომელთა წარგზავნილია ყრილობაზე. ეს ნინომ კარგად იცის; ისიც იცის, რომ დაფასება თავისთავად არ მოდის, იგი თავდადებული და უანგარო შრომით მოიპოვება. ნინოსთვის ისიც ნათელია, რომ მოწინავე კომკავშრომელი მიღწეულს არ უნდა დასჯერდეს.

ბევრი კარგი სიტყვა ითქვა ბრიგადირების რევაზ ზაქარიაძის, ჯუმბერ კვესიეშვილისა და ზურაბ მართალიშვილის მისამართით. ბრიგადირი თავისი უბნის სული და გული. ჭირსა თუ ლხინში, პირად თუ საზოგადოებრივ საქმეში კოლმეურნეების მხარში ედგას.

აჭი მაღალი მთის სოფელია. არც გზა უვარგათ, არც ტელეფონი მუშაობს გამართულად. ასეთ სოფელს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. აქტიურობენ აქელი დეპუტატები. გზა რთულ რელიეფზე გაჭაოვთ, დაანშინეს ავტობუსი. არ ივიწყებენ ომში დაკარგულთა ოჯახებს. ომში დაღუპულის ქვრივს გ. მეგრელიძეს ცირტუსი მოუკრიფეს, შაშა მიუტანეს, ყოველმხრივ ეხმარებიან.

საბჭო როგორ გარდაქმნის მუშაობას? რაც მთავარია, კოლმეურნეობას ეხმარება შრომის ორგანიზაციასა და გეგმების შესრულებაში. შარშან 24 კოლმეურნეს სავალდებულო მინიმუმი არ შეუსრულებია. რამდენიმე ოჯახი საერთოდ არ მონაწილეობს საზოგადოებრივ შრომაში. მეზობლელიძეს დავა გრძელდება გ. მეგრელიძესა და ნ. სვანიძეს, ბ. ქარცივაძესა და გ. ბერიძეს შორის.

სოფელს არა აქვს არც ერთი სტაციონარული მუდმივმოქმედი ბაგა-ბაღი, რომელიც ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდასთან ერთად ჩაის კრეფისა და საშემოდგომო სამუშაოების დროს შეიღავთს მისცემს კოლმეურნე ქალებს. რამდენიმე წელია, რაც შეიქმნა პროექტი, მაგრამ არ იქნა, სოფელი ვერ ეღირსა სახელმწიფო გეგმაში შშენებლობის ჩასმას.

დროა აღმასკომი სესიებსა და სხდომებზე გასცილდეს დაშტამპული საკითხების განხილვას. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სოციალურ საკითხებს. გადაწყვეტილებათა პროექტებიც განხილულ წინასწარ უნდა [illegible] ზოგრივ ადგილებზე. მასობრობა, სპორტობა საბჭოების მუშაობის მთავარი კომპონენტია. ასევე, უფრო სისტემატური ხასიათის უნდა იყოს დეპუტატების თვითანგარიში, მათი მუშაობის განზოგადება, მიღებული დადგენილებების შესრულების შემოწმება. პარტია გვასწავლის, რომ მუშაობის სრულყოფა ნიშნავს კადრებთან მუშაობას, მათს შერჩევასა და აღზრდას. ჩაის, ციტრუსისა და სხვა დამამზადებელ ორგანიზაციებში რაკი დანაშაული არ გამოვლინდა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იქ ყველაფერი რიგზეა. რაკი სექტემბერ-ოქტომბერში, როცა პლანტაცია სრულმოსავლიანი არ არის, მოიკრიფა თითქმის იმდენი, რამდენიც მაის-ივნისში, ეს თავისთავად, დამაფიქრებელი და ღრმად შესასწავლია. დეპუტატები ვალდებულნი არიან ყველაფერს ხედავდნენ, ყველაფერში ერკვეოდნენ და შესაბამისად ხმასაც იმაღლებდნენ.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

ფერილი მკითხველის თხოვნით

„ამას წინათ ცენტრალურმა ტელევიზიამ უჩვენა ამერიკული ფილმი „მეორე დღეს“, რომელმაც შემზარავი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და ჩემს ყველა ნაცნობზე, ვინც ეს სურათი ნახა. გთხოვთ, პატივცემული რედაქცია, გაზეთის ფურცლებიდან გვიპასუხოთო, რა არის ამ ფანტასტიკურ ფილმში მართალი და რა — უზომოდ გაზვიადებული, ჰიპერბოლიზებული (ხომ ვიცით, ამერიკული ფილმები ხშირად სცოდავენ ამ მხრივ). ნუთუ მართლა ასეთი ბედი ელის მსოფლიოს თერმობირთვული ომის შემთხვევაში?“

ნ. მაჭავარიანი, თბილისი.

ჩვენი გაზეთის მკითხველის ეს ბარათი რედაქციამ გადასცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, პროფესორ ვლადიმერ ხორგუანს.
ქვემოთ ვბეჭდავთ მის წერილს.

ეს თვითმკვლელობის ინსტრუმენტია

ბირთვული ომის გეოფიზიკური შედეგები

სამწუხაროდ, მე არ შემიძლია გავაქარწყლო ეს შიში, რადგან ის სრულიად საფუძვლიანია: კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე არ არსებობს ბირთვული ომის თავიდან აცილებაზე უფრო მწვავე პრობლემა. არ დავუშვათ ბირთვული კატასტროფა, მშვიდობიანი გზით გადაწყდეს სახელმწიფოთა შორის უთანხმოებანი — ამისათვის იბრძვიან მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალები. ამ ბრძოლის ავანგარდში არიან ჩვენი კომუნისტური პარტია, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო. „მსოფლიო ასპარეზზე, — აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ XXVII ყრილობაზე, — პარტიის საქმიანობის მაგისტრალურ მიმართულებად რჩება ბრძოლა ბირთვული საშიშროების, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის“.

მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში აქტიური პოზიცია უკავიათ მეცნიერებს, რომლებსაც ყველაზე კომპეტენტურად შეუძლიათ განჭვრიტონ ბირთვული კოფლიქტის შედეგები. მრავალი წლის განმავლობაში ამ კონფლიქტით გამოწვეული შედეგებს აფასებდნენ შეიარაღების სპეციალისტები. საკმაოდ ზუსტად არის აღნუსული ბირთვული აფეთქების შედეგად მოსალოდნელი ნგრევა, გარემოს რადიოაქტიური მოწამლვა და სხვა. მაგრამ თანამედროვე გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ყველაზე საგალალო იქნება გეოფიზიკური შედეგები, რომლებმაც შეიძლება მოსპოს სიცოცხლე ჩვენს პლანეტაზე. მე, როგორც გეოფიზიკოსს — ატმოსფეროს ფიზიკის სპეციალისტს, მსურს შევეხო ამ საკითხს. ის, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, ათმაღალეკსური გამოკვლევების შედეგად დადგინდა. ამ გამოკვლევებში მონაწილეობდნენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები: კლიმატოლოგები, გეოფიზიკოსები, ფიზიკოსები, მათემატიკოსები და ბიოლოგები.

ოთხმოცდაანი წლების დამდეგს მეცნიერებმა, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირში და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ყურადღება მიაქციეს და დაიწყეს ბირთვული ომის შესაძლებელი სცენარის შესწავლა. მერე, ამ სცენარის საფუძველზე, თანამედროვე გამოთვლითი მანქანების გამოყენებით, მოდელირებულ იქნა ბირთვული ომის მოსალოდნელი გეოფიზიკური შედეგები. მოდელირების შედეგები შემაძრწუნებელი აღმოჩნდა. ისინი, ვინც ჩახედული არ არის ომის პრობლემებში, ფიქრობენ, რომ ბირთვული დარტყმების სამიზნე უპირველესად სამხედრო მნიშვნელობის ობიექტები, რაკეტების სასტარტო მოედნები იქნება. გამოკვლევები ცხადყოფს, რომ ეს ასე არ მოხდება. ჯერ ერთი, ეს ობიექტები კარგად არის დაცული, მეორეც, ეს ადგილები შეიღებულია. გარდა ამისა, როგორც წესი, იქმნება მომატყუებელი ობიექტები. ამიტომ აგრესორი, თავი რომ ხიფათში არ ჩაიგდოს, დარტყმებს მიაყენებს სამხედროელო ქალაქებს, სადაც ქვეყნის ძირითადი პოტენციალია თავმოყრილი. ქალაქში თავმოყრილია სამხედროელო და სამოქალაქო დანიშნულების მრავალი ნაგებობა, საწყობები, საწვავი მასალის მარაგი ნავთობისა და გაზის სახით. ამიტომ საწვავი მასალის კონცენტრაცია სამხედროელო ქალაქებში ათჯერ უფრო მეტია, ვიდრე ტყეში და საშუალოდ შეადგენს დაახლოებით 100 კილოგრამს ერთ კვადრატულ მეტრზე. ყოველივე ამის გამო, გაჩნდება წარმოუდგენელი სიმძლავრის ხანძრები, ატმოსფეროში ავა კოლოსალური რაოდენობის ჭვარტლი, მტვერი, ბირთვული აფეთქების შედეგად ტყეებს ხანძრები მოიცავს. მაგალითად, ერთი მეგატონის სიმძლავრე ბომბის აფეთქებას შეუძლია რამდენიმე საათში გადაწვას 500 კვადრატული კილომეტრი ტყე. მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ ბირთვული კონფლიქტის შედეგად ატმოსფეროში ავა 5-10 მილიარდი ტონა ჭვარტლი და მტვერი. ამის შედეგად წარმოშობილი შავი ღრუბლები სამი თვის განმავლობაში თანდათანობით გარს შემოეკვლება და მთლიანად დაფარავს დედამიწას.

ჩვენს პლანეტაზე დადგება ეგრეთ წოდებული „ბირთვული ღამე“. ეს საშინელი შავი საბურველი გზას გადაუღობავს მზის სხივებს, მზის ენერგიას, რის შედეგადაც ჰაერის ტემპერატურა მნიშვნელოვნად დაიწევს. ჩვენს პლანეტაზე დადგება „ბირთვული ზამთარი“. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრში აკადემიკოს ნ. მოისეევის ხელმძღვანელობით წარმოებულმა გამოთვლებმა ცხადყო, რომ ბირთვული კონფლიქტის ათი დღის შემდეგ ევროპაში ტემპერატურა დაიწევს 30 გრადუსით, ჩრდილოეთ ამერიკაში — 40 გრადუსით, ეკვატორიულ ზონაში კი 15-20 გრადუსით. საბოლოო ანგარიშით, ბუნებაში დაირღვევა არსებული ატმოსფეროს ცირკულაციის კანონზომიერება — ეკვატორიული ზონიდან ჰაერის თბილი მასები მაღლა ავა და პოლარული ზონებისაკენ გადავა. რადგანაც დედამიწის ზედაპირამდე მზის ენერგია ვეღარ მოაღწევს, ჰაერის ტემპერატურის დაბლა დაწევა ისევ გაგრძელდება. ასი დღის შემდეგ ცენტრალურ ამერიკაში, აფრიკაში და ამერიკის კონტინენტზე ჰაერის ტემპერატურა დაიწევს მინუს 30-40 გრადუსამდე. რა თქმა უნდა, ოკეანეთა ზედაპირზე, ჰაერის მეტად თხელ ფენაში ტემპერატურა უფრო მეტი იქნება ოკეანეში სითბოს მარაგის გამო. მაგრამ ეს არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას. მოკლედ, ყველა კონტინენტზე დადგება ზამთარი ძალიან დაბალი ტემპერატურით და ყინვებით. რადგანაც ატმოსფეროს ცირკულაციის კანონზომიერებანი დაირღვევა, აღარ წარმოიშობა ღრუბლები. მაშასადამე, ნალექებიც, რომლებიც ჩვენს ატმოსფეროს ასე კარგად ასუფთავებენ სხვადასხვა ნარევებისაგან, მტვრისაგან. ამის გამო მტვრის და ჭვარტლის ნაწილაკები ძალიან ნელა დაილექება. ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდება.

ცნობილია, რომ ჭვარტლი და მტვერი ძალიან კარგად შთანთქავენ მზის ენერგიას, ამიტომ ამ საბურველის ზედა ფენა გაცილებით უფრო თბილი იქნება, ესე იგი სიმაღლესთან ერთად გაიზრდება ტემპერატურაც (საერთოდ კი პირიქით ხდება, ყოველ ას მეტრზე აწევით ჰაერის ტემპერატურა ერთი გრადუსით მცირდება). ყოველივე ამის გამო მაღალ მთებში მყინვარები ინტენსიურ დნობას დაიწყებენ, მთებიდან ჩამოვა წყლის უამრავი ნაკადი, გაჩნდება მეწყერები. კატასტროფულ დნობას დაიწყებს ანტარქტიდა, რომლის სიმაღლე ხუთ კილომეტრამდე აღწევს.

ჩვენი ატმოსფეროს შემცველ გაზებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ოზონს. მისი შემადგენლობა სიმაღლესთან ერთად მატულობს, ხოლო 15-25 კილომეტრ სიმაღლეზე მისი რაოდენობა 2-3 ჯერ იზრდება და წარმოიქმნება ოზონის ფენა ან ეგრეთ წოდებული ოზონოსფერო. ოზონის ეს ფენა ინტენსიურად შთანთქავს ცოცხალ ორგანიზმებზე სასიკვდილოდ მოქმედ მზის ულტრაიისფერ სხივებს. ასე რომ, ეს ფენა ჩვენ გვიცავს ცოცხალი ორგანიზმების გამანადგურებელი ულტრაიისფერი სხივებისაგან. ბირთვული აფეთქების შედეგად ატმოსფეროში დიდი რაოდენობით წამოიშობა აზოტჟანგოვანი ნაერთები, რომლებიც უკავშირდებიან და შლიან ოზონს. მეცნიერთა გამოანგარიშება ცხადყოფს: თუ ბირთვული კონფლიქტი მოხდა, ატმოსფეროს 20-კილომეტრიან ფენაში ოზონის მთელი შემადგენლობის 70 პროცენტი შეიძლება დაიშალოს. მის აღსადგენად კი ბუნებას დასჭირდება ათეული წლები. ყოველივე ეს ნიშნავს, რომ ბირთვული აფეთქების გამო ცოცხალი ორგანიზმების დამცველი ოზონოსფერო პრაქტიკულად გაქრება.

და ამითაც არ მთავრდება უბედურება. ოკეანის წყლებში ტემპერატურა ისე აღარ დაიწევს დაბლა, როგორც ატმოსფეროში, რადგან ზღვის წყალს სითბოს დიდი მარაგი აქვს. ამიტომ ხმელეთსა და ზღვას შორის შეიქმნება ტემპერატურის მკვეთრი სხვაობა. ყოველივე ამის გამო, სანაპირო რაიონებში წარმოიშობა წარმოუდგენელი სიმძლავრის ზღვის ტალღები, ქარიშხალი.

ასე რომ, ბირთვული კონფლიქტის შედეგად ჩვენს პლანეტაზე წარმოიშობა კატასტროფული მოვლენების ერთიმეორეს მიყოლებული ჯაჭვი. საბოლოო ანგარიშით ყოველივე ეს ერთად აღებული გამოიწვევს გამოუსწორებელ ეკოლოგიურ შედეგებს: ხმელეთზე გაყიფნება წყლის მთელი მარაგი, მოისპობა მოსავალი, ტყეები, განსაკუთრებით გაჩანაგდება ტროპიკული ზონა, საკონლისძთვის გაქრება საძოვრები, მოკლედ ცოცხალი ორგანიზმებისთვის მოისპობა ჩვეულებრივი საბინადრო გარემო. იმის გამო, რომ მზის სხივები ვეღარ აღწევენ, ზღვებში შეწყდება ფოტოსინთეზი, რის შედეგადაც გაჭრება ფოტოპლანქტონი, ორგანული ნივთიერების წყარო, ზღვის ცოცხალი ორგანიზმების საკვები.

იმისათვის, რომ ჩვენს პლანეტას ასეთი ზიანი, მსოფლიო ცივილიზაციას ასეთი სასიკვდილო დარტყმა მოუვიდეს, საკმარისია მსოფლიოში ბირთვული იარაღის ამჟამად არსებული მარაგის ერთი-ორი პროცენტის აფეთქება.

ამ სტრიქონების ავტორი მონაწილეობდა ერთ-ერთი საერთაშორისო სიმპოზიუმის მუშაობაში, რომელიც ბირთვული აფეთქების გეოფიზიკურ შედეგებს მიეძღვნა. სიმპოზიუმის მონაწილეებმა საერთაშორისო საზოგადოებრიობის, მეტეოროლოგიისა და ატმოსფეროს ფიზიკის საერთაშორისო ასოციაციის ყურადღება ერთხელ კიდევ გაამახვილეს იმ კატასტროფულ გეოფიზიკურ შედეგებზე, რომლებიც შეიძლება ბირთვულ ომს მოჰყვეს.

საბუნებისმეტყველო დარგის მეცნიერები დარწმუნებული არიან, რომ ბირთვული ომი გამოიწვევს ცივილიზაციის მოსპობას, პლანეტაზე, დამოუკიდებლად იმისა, თუ ვედამიწის რა ნაწილში დაიწყება ომი. დედამიწის არც ერთი კუთხე არ გამოდგება თავშესაფარად, რომ კაცობრიობის სიკვდილ ჯალათრჩეს. ამასთან დაკავშირებით მინდა მოვიყვანო საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, სოციალისტური შრომის გმირის, აკადემიკოს ე. ველიხოვის სიტყვები: „ახლა ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ბირთვული იარაღი უკვე აღარ ჯრის პოლიტიკის ინსტრუმენტი. უფრო მეტი — ომის ინსტრუმენტიც. ეს თვითმკვლელობის ინსტრუმენტია“.

მეცნიერებს, მთელი მსოფლიოს ხალხებს სურთ იწამონ, რომ სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს ეყოფათ სიბრძნე და გამჭრიახობა, თუ გნებავთ, საღი გონებაც, რომ ერთმანეთის საწინააღმდეგოდ არასდროს გამოიყენონ ბირთვული იარაღი.

არ დავუშვათ ბირთვული კატასტროფა, შევაჩეროთ გამალებული შეიარაღება, შევინარჩუნოთ მშვიდობა ჩვენს შესანიშნავ პლანეტაზე — ეს ყველა ჩვენგანის, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანის ვალია.

ვლ. ხორგუანი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ნუკლეაციის და ატმოსფეროს აეროზოლების საერთაშორისო კომიტეტის წევრი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ხ. პერეს დე კუელიარის ვიზიტის შესახებ

მიღწეული მორიგების შესაბამისად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ხ. პერეს დე კუელიარი სსრ კავშირში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვა ივნისის უკანასკნელ დეკადაში. ამ პერიოდში გაიმართება აგრეთვე მისი ოფიციალური ვიზიტები უკრაინის სს და ბელორუსიის სს რესპუბლიკებში, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები არიან.

16 ივნისი ● საკდესი იუწყება

ეკონომიკა
ფაქტები • მოვლენები

◆ ინდოეთი

შეხვედრა ფესტივალის მონაწილეებთან

დელი. მთავრდება მზადება სსრ კავშირში მეგობრობის დიდი დღესასწაულის — ინდოეთის ფესტივალისათვის, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 1.600-ზე მეტი მსახიობი. ქვეყნის სხვადასხვა შტატში მიმდინარეობს საზოგადოებრივი შეხვედრები თავიანთ წარმომადგენლებთან — საუკეთესოთა შორის საუკეთესოებთან, რომლებიც საბჭოთა ადამიანებს გააცნობენ ინდოელი ხალხის ტრადიციებსა და კულტურას, მის ისტორიასა და თანამედროვეობას. თავიანთ თანამემამულეებთან შეხვედრაზე 15 ივნისს მოვიდნენ მადრასის — ტამილანდის შტატის ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრის მცხოვრებნი.

„ინდოეთის ფესტივალი სსრ კავშირში და სსრ კავშირისა — ინდოეთში ხელს შეუწყობს ორი მეგობარი ხალხის ურთიერთობის შემდგომ ყოველმხრივ განვითარებას, — განაცხადა შეხვედრაზე ტამილანდის შტატის გუბერნატორმა ს. ლ. კხურანამ. — ეს ღონისძიებანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ახლა, როცა ჩვენი ქვეყნები ეგებებიან ორ ღირსშესანიშნავ თარიღს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 და ინდოეთის დამოუკიდებლობის 40 წლისთავს“. ს. ლ. კხურანამ ფესტივალების მოწყობა დაახასიათა როგორც მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის 1971 წლის ხელშეკრულებით შედეგობებული საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მჭიდრო ურთიერთობის გაფართოებასა და განმტკიცებაში.

შეხვედრაზე გამოსულმა თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა თავიანთი წარმომადგენლებს მისცეს განაწესი ყველაფერი იღონონ, რათა ინდოეთის ფესტივალი სსრ კავშირში საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის დაუვიწყარ დღესასწაულად იქცეს.

◆ ნიკარაგუა

დანიელ ორტეგას გამოსვლა

მანაგუა. რესპუბლიკაში ანალი აზოგადოების მშენებლობა დრამატულ პირობებში მიმდინარეობს, განაცხადა ნიკარაგუის პრეზიდენტმა დანიელ ორტეგამ. მან რესპუბლიკის ეროვნულ ავტონომიურ უნივერსიტეტში გააკეთა მოხსენება ამერიკის აგრესიის ესკალაციის პირობებში რევოლუციის ამოცანების შესახებ.

სომოსას პრამერიკულმა დიქტატურამ, რომელიც 1979 წელს დაამხეს აჯანყებულმა პატრიოტებმა ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის მეთაურობით, ქვეყანა დარბეული დატოვა, თქვა შემდეგ დ. ორტეგამ. პირველსავე წლებში რევოლუციური მთავრობა შეუდგა ისეთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტას, როგორიც არის სომოსას საგვარეულო ქონების კონფისკაცია, ბანკების და საგარეო ვაჭრობის ნაციონალიზაცია, აგრარული რეფორმა, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება, სახალხო ხელისუფლების განმტკიცება პროფკავშირების, რეკოლუციის დაცვის სანდინისტური კომიტეტების შექმნის გზით, ინფორმაციის ორგანოების დემოკრატიზაცია, ახალი შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება.

რეიგანის ადმინისტრაცია, განაცხადა პრეზიდენტმა, აშკარად დაადგა ნიკარაგუაში რევოლუციის მოშთობის კურსს. შეერთებული შტატების მმართველი წრეების აგრესიულ, ტერორისტულ პოლიტიკას მოჰყვა რესპუბლიკაში სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური დაძაბულობა. კათოლიკური ეკლესიის ზედაფენა და მემარჯვენე პარტიები ვაშინგტონის ფინანსურ დახმარებას იღებენ და მისი ინტერვენციონისტული პოლიტიკის იარაღად იქცნენ.

ომის პირობებში ნიკარაგუაში გაიმართა საყოველთაო არჩევნები, შემუშავდა და მიღებულია ახალი კონსტიტუცია, რომელიც განამტკიცა სანდინისტური რევოლუციის სახელმწიფო ზრდა-განვითარების პროცესი. საერთაშორისო ასპარეზზე რესპუბლიკის მთავრობა მიუმხრობლობის კურსს ახორციელებს.

შემდეგ დ. ორტეგამ აღნიშნა, რომ გაიზარდა მნიშვნელობა პოლიტიკური და იდეოლოგიური პრობლემისა მემარჯვენე ძალების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ სანდინისტურ ფრონტსა და რევოლუციურ მთავრობას დააკისრონ პასუხისმგებლობა ამერიკის აგრესიის შედეგად წარმოქმნილი პრობლემებისათვის.

პრეზიდენტმა დიდი შეფასება მისცა ნიკარაგუელ მშრომელთა გმირობას, რომლებიც, სიძნელეებისა და მსხვერპლის მიუხედავად, იარაღით იცავენ რევოლუციურ მონაპოვრებს, აგრეთვე წყვეტენ რთულ საწარმოო ამოცანებს.

● აშშ

კრიზისი მწვავდება

გეს ჰოლის სტატია

ნიუ-იორკი. გაზეთ „პიპლზ დეილი უორლდში“ გამოქვეყნებულია ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის გეს ჰოლის სტატია, რომელიც ამერიკის იმპერიალიზმის სულ უფრო მზარდი გლობალური კრიზისის ანალიზს ეძღვნება.

„ირან-კონტრასის“ საიდუმლო აფერის გამო სკანდალის შედეგები მთელ კაპიტალისტურ სამყაროში იგრძნობა, წერს, კერძოდ, ამერიკელ კომუნისტთა ლიდერი. პოლიტიკურ ხელმძღვანელთა უმრავლესობა არ ენდობა რეიგანს, და ეს სავსებით გასაგებია. როგორ შეიძლება ენდო ლიდერს, რომლის გარემოცვაში, ერთ-ერთი მისი ცნობილი ადლოლგეტის, რეიგანის კაბინეტის ყოფილი წევრის ჯინ კირკპატრიკის განსაზღვრებითაც კი, არიან „ორპირი საქმოსნები“, „პირმოთნენი“, „ზნედაცემული პიროვნებანი“, რომლებიც, თანაც, „საშინ აგრესიულობასაც“ იჩენენ.

ასეთი აგრესიულობის მაგალითად გეს ჰოლს მოჰყავს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ჩარევა სპარსეთის ყურის რაიონში.

„ამერიკის იმპერიალიზმის ჩარევა და მუდმივი პროვოკაციები აღვივებენ კონფლიქტის ალს სპარსეთის ყურის რაიონში, — ხაზგასმით აღნიშნა დასასრულ გეს ჰოლმა. — საბოლოო ანგარიშით, სწორედ, ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი და ამერიკის ნავთობის მონოპოლიები არიან ამ ომის გაჯიანურების მთავარი დამნაშავენი“.

● იუგოსლავია-შვეიცია

გაუგებარი გადაწყვეტილება

ბელგრადი. შვეიცის ხელისუფალთა გადაწყვეტილებამ, რომ ცხრა წლის პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლოს მ. ბარეშიჩი, საერთაშორისო ტერორისტი, რომელმაც სტოკჰოლმში მოკლა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი ვ. როლოვიჩი, იუგოსლავიის საზოგადოებრიობის გულისტკივილი და დიდი სინანული გამოიწვია. როგორც ტანიუგის საგენტო იუწყება, ეს ნათქვამია იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა საკავშირო სამდივნოს ოფიციალურ განცხადებაში.

გაუგებარია, აღნიშნულია დოკუმენტში, თუ რატომ ათავისუფლებენ, თუნდაც სამი წლის პირობით, დამნაშავეს, გამოუსწორებელ ტერორისტს, რომელმაც მას შემდეგ, რაც მკვლელობა ჩაიდინა და სასამართლომ 18 წლის პატიმრობის განაჩენი გამოუტანა, სატუსაღოშიც მოუორჯულებელი დარჩა. სარგებლობდა რა იმ პირობებით, რომლებიც საპყრობილეში შეუქმნეს, ბარეშიჩს მუდმივი კავშირი ჰქონდა თანამზრახველებთან და არაერთგზის

დიდი ზეიმის პოლოდინში

რესპუბლიკა მზადდება

18 ივნისიდან 9 აგვისტოს ჩათვლით საქართველოში გაიმართება დიდი კომპლექსური ასპარეზობანი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისადმი მიძღვნილი სპორტული სკოლების მოსწავლეთა პირველ საკავშირო ასპარეზობათა ფინალები. ასპარეზობათა თავისებურებაზე, იმაზე, თუ როგორ ემზადება მისთვის რესპუბლიკა, საქინფორმის კორესპონდენტს შ. შალოლაშვილს ესაუბრა ასპარეზობათა მომზადებისა და გამართვის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. ა. ჩხეიძე.

— მადლობას ვუხდით სსრ კავშირის სპორტსახკომს იმისათვის, რომ მან მოგვცა საშუალება ვუმასპინძლოთ ასეთ საინტერესო ასპარეზობას, — თქვა ზურაბ ჩხეიძემ. — ვიმედოვნებთ, რომ მომავალი ასპარეზობები ხელს შეუწყობს ჩვენს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ პოპულარიზაციას, ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადებას.

— როგორია მომავალ ასპარეზობათა მნიშვნელოვანი და მიზნები, რომლებიც პირველად იმართება?

— თანამედროვე სპორტმა არნახულ პროგრესს მიაღწია. შედეგები, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ფანტასტიკურად ითვლებოდა, ახლა რეალური გახდა, მაგრამ მათი მიღწევა შეუძლიათ მხოლოდ ყოვლისმხრივ იდეალურად მომზადებულ ათლეტებს. უმთავრეს მიღწევებს კი საფუძველი ადრეული წლებიდანვე უნდა ჩაეყაროს.

— როგორ მიმდინარეობს მზადება ასპარეზობისათვის?

— ჩვენთვის იგი ჯერ კიდევ შარშან დაიწყო, ხოლო მოდგმიმოქმედმა საორგანიზაციო კომიტეტმა საფუძვლიანად მოჰკიდა ხელი თავის მოვალეობებს ოთხი თვის წინათ. მის შემადგენლობაში არიან პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული და სპორტული ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები. შეიქმნა ასპარეზობისათვის მზადების ორი შტაბი: ერთი — განათლების სამინისტროში, მას მინისტრის მოადგილე გ. თალაკაძე მეთაურობს, მეორე — რესპუბლიკის სპორტსახკომ მ შ ი, რომელსაც თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. შუბლაძე ხელმძღვანელობს. საორგანიზაციო კომიტეტისა და შტაბის სხდომებზე ოპერატიულად განიხილავენ ყველა საკითხს, მკაცრად აკონტროლებენ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას.

— როდის გაიმართება საკავშირო ასპარეზობათა საზეიმო გახსნა?

— სსრ კავშირის სპორტსახკომის გადაწყვეტილებით, ასპარეზობათა გახსნის ერთიანი დღესასწაული, როგორც ეს ყოველთვის წინათ ხდებოდა, არ გაიმართება. მაგრამ, პროგრამის ყოველ ცალკეულ სახეობას ყველა ქალაქში აუცილებლად წინ უძღვის გახსნა-დახურვის საზეიმო პარადები.

— როგორც წესი, ახეთი ასპარეზობანი დიდ ინტერესს იწვევს მთელ ქვეყანაში და მას, ალბათ, მრავალი უურნალისტი გააშუქებს...

— მათთვისაც ვიზრუნეთ. ასპარეზობათა მთავარი პრესცენტრი მოეწყობა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე. აქ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებს ოპერატიული მუშაობის ყველა პირობა ექნებათ შექმნილი. ამასთან, ყველა იმ რეგიონში, სადაც გაიმართება შეჯიბრებები ცალკეულ სახეობათა სპორტში, იმოქმედებს სუბპრესცენტრები.

კიდევ რა ელის საინტერესო მომავალ ასპარეზობათა მონაწილეებსა და ტურმრებს?

— რა თქმა უნდა, საკავშირო ასპარეზობანი მარტო შეჯიბრება არ არის. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მას ჰქონდეს აღმზრდელობითი, შემეცნებითი დატვირთვაც. ამიტომ საორგანიზაციო კომიტეტმა იზრუნა ნორჩი სპორტსმენების დასვენებისათვის. მათთვის შემუშავებულია ერეული კულტურული პროგრამა.

ᲝᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲔᲑᲘ 25 ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ

მაშ ასე, ჩვენს რესპუბლიკას მალე 6300 ყმაწვილი სპორტსმენი, მსაჯი და მწვრთნელი ეწვევა ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. სპორტული სკოლების აღსაზრდელთა საკავშირო ასპარეზობებს, რომელიც მოსწავლეთა ტრადიციული სპარტაკიადის ნაცვლად წელს პირველად იმართება, ძირითადად თბილისი უმასპინძლებს, მაგრამ ცალკეული სახეობების სპორტში შეჯიბრებები საქართველოს სხვა ქალაქებშიც გაიმართება. ყმაწვილ სპორტსმენთა ეს ფორუმი, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს ეძღვნება, იმითაც გამოირჩევა, რომ სარბიელზე გამოვლენ არა მოკავშირე რესპუბლიკების გუნდები, სადაც ადრე განათლების სისტემის სპორტსმენთა გარდა სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების წარმომადგენლებიც გამოდიოდნენ, არამედ ცალ-ცალკე ნაკრები კოლექტივები. მაგალითად, განათლების სისტემა ამჯერად თავის ოთხ ნაკრებ გუნდს გამოიყენებს: პირველი — რსფსრ, მეორე — უკრაინა, მესამე — ბელორუსია, მოლდავეთ-ბალტიისპირეთი (გაერთიანებული გუნდი) და მეოთხე — შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების ასევე ერთიანი გუნდი (საქართველოს გარდა). ორი ნაკრებით იასპარეზებს პროფკავშირები, ცალკე გუნდებს გამოიყენებს „უროჟაი“ (სოფლის სპორტსმენები), „დინამო“, „შრომითი რეზერვები“, შეიარაღებული ძალები. საქართველოს, როგორც ასპარეზობის მასპინძელს, უფლება აქვს საკუთარი გუნდით წარსდგეს — ჩვენს სპორტულ დელეგაციაში შევა ყველა ყმაწვილი სპორტსმენი იმის მიუხედავად, თუ რომელ სპორტულ საზოგადოებას ან უწყებას ეკუთვნის მისი სპორტული სკოლა. ცალკე გუნდად ასპარეზობა მასპინძლებისადმი დიდ ნდობას ნიშნავს და დიდ პასუხისმგებლობასაც აკისრებს.

ასპარეზობათა პროგრამით პირველი შეჯიბრება დაიწყება 18 ივნისს თბილისში: თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს საცურაო აუზი წყალბურთელებს უმასპინძლებს. სულ ყმაწვილი სპორტსმენები 25 სახეობაში იასპარეზებენ. გთავაზობთ შეჯიბრებათა მთლიან პროგრამას:

წყალბურთი	**თბილისი**	**18-26 ივნისი**
სპორტული ტანვარჯიში	**ბათუმი**	**14-18 ივლისი**
ძალოსნობა	**ცხინვალი**	**21-26 ივლისი**
კრივი	**ქუთაისი**	**21-27 ივლისი**
ფრენბურთი		
ჭაბუკები	**თბილისი**	**21-29 ივლისი**
გოგონები	**სოხუმი**	**21-29 ივლისი**
მძლეოსნობა	**თბილისი**	**22-24 ივლისი**
ცურვა	**ზუგდიდი**	**22-26 ივლისი**
ჭადრაკი	**სამტრედია**	**22-31 ივლისი**
ველოსპორტი (გზატკეცილი)	**თბილისი**	**23-26 ივლისი**
ნიჩბოსნობა (ბაიდარა და კანოე)	**ფოთი**	**23-26 ივლისი**
ფეხბურთი	**თბილისი**	**23 ივლისი —**
	რუსთავი	**2 აგვისტო**
მაგიდის ჩოგბურთი	**თელავი**	**24-29 ივლისი**
სამბო	**თბილისი**	**25-28 ივლისი**
ხელბურთი (ჭაბუკები და გოგონები)	**თბილისი**	**27 ივლისი — 2 აგვისტო**
მხატვრული ტანვარჯიში	**ბათუმი**	**28 ივლისი — 1 აგვისტო**
კლასიკური ჭიდაობა	**თბილისი**	**31 ივლისი — 3 აგვისტო**
ფარიკაობა	**ქუთაისი**	**1-8 აგვისტო**
კალათბურთი (ჭაბუკები და გოგონები)	**თბილისი**	**1-9 აგვისტო**
ჩოგბურთი	**თბილისი**	**2-9 აგვისტო**
ბადმინტონი	**თელავი**	**3-9 აგვისტო**
წყალხტომა	**თბილისი**	**4-8 აგვისტო**
ტყვიის სროლა	**სოხუმი**	**4-9 აგვისტო**
თავისუფალი ჭიდაობა	**თბილისი**	**6-9 აგვისტო**
აკადემიური ნიჩბოსნობა	**ფოთი**	**6-9 აგვისტო**
ძიუდო	**გორი**	**7-9 აგვისტო**

თბილისმა ერთხელ უკვე უმასპინძლა მოსწავლე სპორტსმენთა დიდ შეჯიბრებას — ეს იყო 1958 წლის საკავშირო სპარტაკიადა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. გამოცდილებაც მეტი შეძენილი, ვიმედოვნებთ, ნორჩი სპორტსმენების ეს დიდი სპორტული ზეიმი წარუშლელ შთაბეჭდილებებს დატოვებს როგორც სტუმრებზე, ისე მასპინძლებზე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

თბილისში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მერვე ტურში არც ამჯერად აღნიშნულა ყაიმი! კვლავ წარმატებით ითამაშეს ლიდერებმა: სტურუამ, მაგალითად, რომელიც ტყვეხრავას ხვდებოდა, ზედიზედ მეხუთე პარტია მოიგო, მას არ ჩამორჩება 17 წლის ჯანჯღავა, რომელმაც საინტერესო ბრძოლის შემდეგ მანაგაძე დაამარცხა. ზედიზედ მესამე პარტია მოიგო კრასენკოვმა, რომელიც გედევანიშვილს ხვდებოდა. გიორგაძემ მოუგო ბალათურიოვს, ხეცურიანმა — ჩაჩიბაიას, გაფრინდაშვილმა — ეფიმოვს. შალამბერიძისა და ტაბატაძის პარტია გადაიდო.

8 ტურის შემდეგ 6-6 ქულით კვლავ წინ არიან საერთაშორისო ოსტატი ზურაბ სტურუა და ოსტატი ლაშა ჯანჯღავა. 5,5 ქულა აქვს ოსტატ მიხეილ კრასენკოვს (ბათუმი), 5 ქულა — ოსტატ გია გიორგაძეს, რომელსაც არც ერთი პარტია არ დაუმთავრებია ყაიმით! ეტყობა ჩემპიონობისათვის და საკავშირო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საგზურებისათვის სწორედ ეს ოთხი მონაწილე იბრძოლებს.

„ᲤᲡᲙᲔᲠᲖᲔ“: ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲢᲐᲪᲘᲐ

სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო ქართული თეატრის სპექტაკლს — გორკის „ფსკერზე“ თბილისელები დიდი ინტერესით შეხვდნენ ახალ მკაფიო შთაბეჭდილებათა მოლოდინში. ტრადიციისამებრ აფხაზეთიდან დასმა საქართველოს დედაქალაქის სცენური ხელოვნების მოყვარულთა სამსჯავროზე გამოსათანად ახალი ნამუშევარი ჩამოიტანა. 15 და 16 ივნისს კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრში გაიმართა სოხუმის ქართული თეატრის პრემიერა.

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სპექტაკლი დადგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, საქართველოსა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკების სახალო არტისტმა გ. ქავთარაძემ. მხატვრულად გააფორმა თ. ნინუამ. სპექტაკლში გამოყენებულია საქართველოს სახალხო არტისტის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის კომპოზიტორ გ. ყანჩელის მუსიკა.

სოხუმის დასმა თბილისელებს წარმოუდგინა მაქსიმ გორკის ერთ-ერთი საუკეთესო დრამატული ნაწარმოების იმპროვიზებული ვარიანტი. მისი ავტორები არიან გ. ქავთარაძე და ს ლ ო ვ ა კ ი მთარგმნელი იან ფერენჩიკი და დრამატურგი პავლ პაშკა. ეს სპექტაკლი პირველად სამი წლის წინათ დადგეს ბრატისლავის თეატრ „ნოვა სცენაში“ და დიდი წარმატებაც ხვდა.

— მაგრამ ეს სპექტაკლები გასხვავდება ერთმანეთისაგან, — თქვა გ. ქავთარაძემ. ბრატისლავის დადგმა განხორციელდა სლოვაკი მაყურებლისათვის, სოხუმისა კი გათვალისწინებული იყო საბჭოთა მაყურებლისათვის.

შევეცადეთ გაგვეთანამედროვეებინა გორკის პიესა. შევცვალეთ სოციალური გარემო, მაგრამ არ დაგვიკონკრეტებია მოქმედების ადგილი. იცნობენ საზოგადოებაში და თავისუფალი იყო მისგან შეუძლებელია — ეს არის დადგმის რეჟისორული გადაწყვეტის დედაარსი...

პიესაზე მუშაობამ დასს დიდი შემოქმედებითი კმაყოფილება მიანიჭა. გორკი ხომ ყოველთვის რეჟისორისა და მსახიობის შესაძლებლობათა „სასინჯი ქვა“, ბარომეტრია. ბედნიერი ვიქნებით, თუ ჩვენი ახალი ნამუშევარი მოეწონებათ თბილისელებს, რომელთა აზრიც ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

უჩვეულო რეჟისორულმა გადაწყვეტამ, ჩინებულმა სცენოგრაფიამ, მსახიობთა შესანიშნავმა თამაშმა სპექტაკლს წარმატება მოუტანა.

„ფსკერზე“ სეზონის ბოლო პრემიერაა. პირველი აგვისტოდან სოხუმის ქართული თეატრი თავისი საუკეთესო ნამუშევრებით, რომელთა შორის მ. გორკის პიესაც არის, საგასტროლოდ ბელორუსიაში მიემგზავრება. იგი გამოვა მინსკსა და გროდნოში. სხვათა შორის, ეს პირველი ქართული დრამატული თეატრია, რომელიც გასტროლებს მართავს ამ მოძმე რესპუბლიკაში.

ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ბათუმი, 16 ივნისი. (საქინფორმის კორ.). „საქართველოს ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ტბეთმა“ მოხიბლა გერმანელი მაყურებლები. თქვენ ჩამოგვიტანეთ მზე“, — ასე გამოეხმაურა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდული გაზეთი „იუნგე ველტი“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მოცეკვავე სტუდენტთა კოლექტივის გამოსვლებს, რომელიც მონაწილეობდა საერთაშორისო ფესტივალში „ბერლინური გაზაფხული-87“.

ამას წინათ საქართველოს კომკავშირის პრემის ლაურეატი „ტბეთი“ შინ დაბრუნდა.

— ჩვენ ძალიან გულთბილად მიგვიღეს, — თქვა ანსამბლის ხელმძღვანელმა, აჭარის ასსრ დამსახურებულმა არტისტმა ჯემალ ჩიჩუამ. — განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო შეხვედრები საბჭოთა მეომრებთან, რომლებიც სამსახურს გადიან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. სულ გავმართეთ რვა კონცერტი. მაყურებელთა თხოვნით თითქმის ყველა ნომერს „ბისზე“ ვიმეორებდით.

საინტერესოდ იყო მოფიქრებული ანსამბლის წვრილებისათვის კულტურული პროგრამაც, რომლის წყალობით ანსამბლის წევრები გაეცნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მრავალ ღირსშესანიშნაობას.

ახლა შემოქმედებითი კოლექტივი შეუდგა მუშაობას ახალ პროგრამაზე, რომელიც ეძღვნება დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

საქართველოში ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოდის წერილები, დეპეშები, რომლებიც შეიცავენ სულიერი სითბოთი და გულუხვი თანადგომის გრძნობით აღსავსე გამოხმაურებას სტენიური უბედურების გამო, წელს რომ დაატყდა თავს ჩვენს რესპუბლიკას. ყოველ მათგანში გამოსქვეიკის ადამიანური მხარდაჭერა, მისწრაფება — შეძლებისადაგვარად დაეხმარონ დაზარალებულთ, თავიანთი წვლილი შემატონ ნაპარტახვის აღდგენას.

აი, ერთ-ერთი უკანასკნელი დეპეშა, რომელიც ქალაქ ურალსკიდან მოუვიდა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირს: „ყაზახეთის სსრ ურალსკის საოლქო გაზეთის „ორალ ონირის“ რედაქციის კოლექტივმა — სოციალისტური შეჯიბრების საკითხთა საუკეთესო გაშუქებისათვის გამოცხადებული გაზეთების საკავშირო კონკურსის გამარჯვებულმა, გულწრფელი მეგობრობისა და ძმური დახმარების ტრადიციების შესაბამისად, ერთსულოვნად გადაწყვიტა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირისგან მიღებული ფულადი პრემია ოთხასი მანეთის ოდენობით გადარიცხოს ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აღდგენისა და სტიქიური უბედურებით დაზარალებული საქართველოს რაიონების დახმარების ფონდში. ვუსურვებთ თანამოკალმე ძმებს ახალ შემოქმედებითს წარმატებებს პრესის მუშაკთა ამოცანების განხორციელებაში. კოლექტივის დავალებით — გაზეთის რედაქტორი, ყაზახეთის ჟურნალისტთა კავშირის საოლქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე ბ. დალაბაევი“. (საქინფორმი).

„ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲬᲐᲕᲘᲓᲔ ᲖᲚᲐᲪᲐᲠ-ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ“...

ამას წინათ პროფკავშირთა კულტურის სასახლეში გაიმართა შეხვედრა ცნობილ მომღერალთან, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატთან ირმა სოხაძესთან და ქალაქ „მზიურის“ საბავშვო მუსიკალურ თეატრთან, რომელიც მომღერალმა დააარსა.

კონცერტის პირველ განყოფილებაში ირმა სოხაძე მსმენელთა წინაშე საინტერესო პროგრამით წარდგა. ეს მისი საესტრადო შემოქმედების ერთგვარი შეჯამებაც იყო. კონცერტზე აჟღერდა ძირითადად მისივე სხვადასხვა დროს შექმნილი სიმღერები. ირმა დიდ ყურადღებას უთმობს ლექსს და შემთხვევითი არ არის, რომ მისი სიმღერების უმრავლესობა დაწერილია არა ეგრეთ წოდებულ „სასიმღერო“ ტექსტებზე, არამედ ირაკლი აბაშიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, რეზო ამაშუკელის, მუხრან მაჰავარიანის და სხვათა შესანიშნავ ლექსებზე. მსმენელებმა გულთბილად მიიღეს მოსკოველი პოეტი ქალის ლარისა ფომენკოს ლექსებზე შექმნილი სიმღერები — „რომანსი“, „გაზაფხული“, „ზარები“. ასევე დიდი წარმატებით შეასრულა ირმამ სიმღერა, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ აჩუქეს კომპოზიტორმა გია ყანჩელმა და პოეტმა პეტრე გრუზინსკიმ. ამ სალამოს სიმღერის პრემიერაც შედგა — ეს იყო „მე შენი წვიმის წვეთი ვარ“, რომელიც მომღერალმა არმაზ სანებლიძის ლექსზე დაწერა.

დრო გადის, მრავალი საინტერესო ფურცელი ჩაიწერა ირმა სოხაძის შემოქმედების ბიოგრაფიაში, სხვადასხვა რაკურსში დაგინახეთ ირმა. არ ილევა მისი შემოქმედებითი ფანტაზია. ამ ერთსაათიანმა განყოფილებამ, რომელსაც ირმა სულ მარტო, ყოველგვარი „დახმარების“ გარეშე უძღვებოდა (იგი თვითონ იყო წამყვანიც და ფორტეპიანოსა თუ გიტარაზე საკუთარი თავის შესანიშნავი აკომპანიატორიც), ახალი თვალით დაგვანახვა მისი შემოქმედება და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ირმა სოხაძის სახით ჩვენს საესტრადო ხელოვნებას ჰყავს მზარდი ხელოვანი, რომელიც უდამ ახლის ძიებაშია. ამასთან ერთად ირმა ყოველთვის ინარჩუნებს ბავშვობიდან გამოყოლილ სისპეტაკეს, სილაღეს, თითქოს ვერ ტოვებს თავისი ბავშვობის ჯადოსნურ ხილვებს, იგი თითქოს მეორდება და ახალ თვისებრივ ხარისხში გვევლინება. ირმა სოხაძე იყო პირველი, ვინც საფუძველი ჩაუყარა საბავშვო ესტრადას ჩვენში და დღესაც იგი ძოგვევლინა საბავშვო მუსიკალური თეატრის პიონერად.

კონცერტის მეორე განყოფილება ნორჩებს დაეთმო. პატარა მსახიობებმა წარმოადგინეს მიუზიკლი „ზღაპარ-ქალაქი-2“.

ბავშვებს თავისებური შინაგანი სამყარო აქვთ. მათ ბავშვობის განუმეორებელი ხანა უდგათ. ეს ხანა აღსავსეა ისეთი შთაბეჭდილებებით, ისეთი მისწრაფებებით, რომ შემდეგ ადამიანი მთელი ცხოვრებისა მთავლეა წესრიგი დაიცვას, სხვას ასწავლოს ჭკუა, მაგრამ თვით მთვრალი უჯდება საქეს. ასე იყო იმ დღესაც. საკუთარ ავტომანქანას ღამის საათებში მთვრალი მიაქროლებდა გმირების ქუჩაზე. მას ერთი წლით დაპატიმრებენ. ეს ამბავი ბავშვებმა ასეთ ფორმით ასახეს: „ბოროტი ბიჭი“ ბავშვებს ეუბნებოდა, ეს ბავშვობა ასეთ ფორმით ასახეს: „ბოროტი ბიჭი“ ბავშვებს ეუბნებოდა, ეს ბავშვობა ასეთ ფორმით ასახეს: „ბოროტ